ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 24 ივნისი, 2019 №147 (8101) ფასი: 60 თეთრი

აპირებდა თუ არა ხელისუფლება „რუსთავი 2“-ის დარბევას



გვ.4

18 ივნისიდან

ანე ფრანკი

თავშესაფარი

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

„უგულავა პრემიერი, ბოკერია შს მინისტრი, მელია თავდაცვის მინისტრი“

ოპოზიციამ თანამდებობები გაინაწილა

„მივმართავ ივანიშვილს, მოჰკიდოს ხელი თავის მრჩევლებს და ან ნარკოლოგიურში წაიყვანოს, ან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში და შარდის ანალიზი ჩააბარებინოს. რა ნივთიერებებსაც ამოყრის ეს ანალიზები, საკუთარი თვალით იხილოს“

გვ.2

ირაკლი კობახიძე ბიძინა ივანიშვილს აშანტაჟებს?

გვ.3

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ახალ თანამდებობას ითხოვს

თენგიზ დიხამინჯია: „ივანიშვილი და სააკაშვილი თამაშიდან უნდა იქნენ გაყვანილი“

გვ.5

ლია მუხაშავრია: „ნაცმოძრაობასა და „ოცნებას“ შორის ტოლობის დასმა უკვე მარტივად შეიძლება“

„შსს-მ ძალას გადაამეტა, შესაძლოა, ეს საქმე სტრასბურში წავიდეს“

გვ.3

სამართალი

გვ.7

70 წლის გიორგი წიქარიძე: „მოლოტოვის კოქტეილი არ მქონია, სახლში მქონდა ბოთლებში ბენზინი ჩამოსხმული“

გარდაბანში ნეფე-პატარძლის მანქანა ტრაილერს შეეჯახა

შსს-მ 20-21 ივნისს აქციისას სამართალდამცავთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების შესწავლა დაიწყო

ეკონომიკა

გვ.6

„არ ჩამოვლენ რუსი ტურისტები, ჩამოვლენ სხვები“

ამერიკელი დიპლომატი: „ქართველი ხალხი სხვრის ფარა არ არის!“

Georgian Airways და MyWay Airlines რუსეთსა და საქართველოს შორის ფრენებს აგრძელებენ

გელა ბეჭუაშვილი: „რუსეთს საქართველოს განვითარების შეჩერება არ გამოუვა!“

ISSN 1987-9385

5 ვინ მისტირის რუს ტურისტებს?

8 ტრამპმა ირანის დაბომბვა რაკეტების გაშვებამდე 10 წუთით ადრე გადაიფიქრა

თვითმფრინავები უკვე ჰაერში იყვნენ

4 ირაკლი მენაღარიშვილი: „ეს პუტინის რეპრესიული ნაბიჯია, ჰგონიათ, რომ კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით“

8 რუს კოსმონავტებს დედის გინებას აუკრძალავენ

„უგულავა პრემიერი, ბოკერია შს მინისტრი, მელია თავდაცვის მინისტრი“

ოპოზიციამ თანამდებობები გაინაწილა

შორენა მარსაგიშვილი

რა გეგმები აქვს ოპოზიციას, ვისთან თანამშრომლობენ „ოცნების“ ლიდერები, რატომ უნდა წაიყვანონ ნარკოლოგიურში ივანიშვილის მრჩევლები, რით შეუძლია თავის გადარჩენა „ოცნების“ ლიდერს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე ესაუბრება.

– სანდრო, თქვენ გაავრცელეთ ინფორმაცია, რომ ოპოზიციამ უკვე გადაინაწილა ის თანამდებობები, რომლებსაც ისინი ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში დაიკავებენ. რამდენად სერიოზულია ის წყარო, რომელზე დაყრდნობითაც ამ ინფორმაციას ავრცელებთ?

– ეს არის ძალიან სერიოზული ინფორმაცია. მრავალია წელია, რაც პოლიტიკაში ვარ და, შესაბამისად, კონტაქტებიც მაქვს. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ნაციონალებმა უკვე გადაინაწილეს თანამდებობები. ამ გადანაწილების შედეგად პრემიერის სავარძელი გიგი უგულავას ერგო, შს მინისტრის – გიგა ბოკერიას, ხოლო ნიკა მელია თავდაცვის მინისტრი გახდება.

ხელისუფლებამ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები თუ არ დანიშნა, ძალიან ცუდად დაამთავრებს. 2015 წელს, როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი თანამდებობიდან გადადგა და მის ადგილზე კვირიკაშვილი განიხილებოდა, ბიძინა ივანიშვილს შევუთვალე, რომ მას ამ ადამიანის პრემიერად დანიშვნაზე არც კი უნდა ეფიქრა, ვეუბნებოდი, რომ ის უღალატებდა. არ დამიჯერა, კვირიკაშვილი მთავრობის მეთაურად დასვა, რომელმაც ამ რამდენიმე დღის წინ ღიად უღალატა „ოცნების“ ლიდერს.

– ღალატი რით გამოიხატა?

– მისი განცხადებით, რომელიც მან ამ დღეებში გაავრცელა. როგორც კვირიკაშვილის შემთხვევაში არ დამიჯერა და წააგო, ასევე წააგებს, თუ ვადამდელ არჩევნებს არ დათანხმდება.

ებრაელებს აქვთ ასეთი წყევლა, არც შენი იცოდე და არც სხვისი გესმოდესო. „ოცნებას“ რომ ვუყურებ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს წყევლა მასზეა გავრცელებული.

20 ივნისს საქართველოს პარლამენტის შენობაში გაუგონარი რამ მოხდა – სპიკერის სავარძელში ჩასვეს რუსი დეპუტატი გავრილოვი. ეს რომ დავინახე, კინაღამ გავგიჟდი, ჩემთვის ძნელი ასატანი იყო იმის ხილვა, რომ იმ ადგილზე იჯდა რუსი დეპუტატი, საიდანაც ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

მაშინვე დავურეკე „ოცნების“ ლიდერებს და ვუთხარი, სასწრაფოდ გამოასწორეთ ეს შეცდომა-მეთქი. მითხრეს, რომ ტრაგიკული არაფერი მომხდარა და ხალხის პროტესტიც არ იყო მნიშვნელოვანი. ამბობდნენ, ცოტას გააპროტესტებენ და მერე დაიშლებიანო. ხალხი არ დაიღალა და ეს პროტესტი ძალიან მძიმე პროცესებში გადაიზარდა.

იმავე დღეს ვეხვეწებოდი, გადააყენეთ კობახიძე და ხალხი დაწყნარდება-მეთქი. არ დამიჯერეს, მაგრამ მერე მაინც მოუწიათ მისი გადაყენება. „ახალი თაობის“ მეშვეობით ახლა კიდევ ერთხელ მივმართავ ხელისუფლებას და ვეუბნები – დანიშნეთ ვადამდელი არჩევნები. ამ მოთხოვნის შესრულება მაინც მოგიწევთ და ჯობია, ეს საკუთარი ნებით გააკეთოთ, ხვალ შეიძლება გვიანი იყოს.

– რას ნიშნავს, შეიძლება გვიანი იყოს?

– იმას, რომ ვადამდელ არჩევნებს არა „ოცნება“, არამედ დროებითი მთავრობა ჩაატარებს.

– რომელი დროებითი მთავრობა?

– რომელიც „ოცნების“ დასრულების შემდეგ შეიქმნება. ანრი ოხანაშვილისა და ვანო ზარდიაშვილის ბედი რომ არ მადარდებს, იმედია, ამის გჯერათ, არც „ოცნება“ მადარდებს, პოლიტიკურ ჭირსაც წაუღია ისინი ნაციონალებიანად, მაგრამ ქვეყანასა და მის მომავალზე ძალიან ვდარდობ.

რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციებზე მომიტინგეთა 80%-ს შეადგენენ 19-20-21 წლის გულანთებული ახალგაზრდები. ისინი გულწრფელად აპროტესტებენ ოკუპაციას.

ეს ახალგაზრდები ასევე ითხოვენ ხელისუფლების წასვლასა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნას. „ოცნებას“ დათმობაზე წასვლა მოუწევს, მაგრამ ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამ პატარა ბავშვებს ხელისუფლებას არავინ ჩააბარებს.

ხელისუფლება, უბრალოდ, ეგდება ქუჩაში და კარგა ხნის განმავლობაში არავინ იქნება მისი ხელში ამღები. საქართველოში გამეფდება ქაოსი. დღეს ერთადერთი ძალა, რომელსაც ხელისუფლების ხელში აღების ავადმყოფური სურვილი აქვს, არის ნაციონალური მოძრაობა თავისი განაყოფებიანად. მათთან ერთად იქნებიან ლიბერასტულ-მამათმავლური არასამთავრობოები.

ქვეყნის სათავეშიც ეგენი მოექცევიან. წარმოდგენაც კი არ მინდა, რას მოიმოქმედებენ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სისხლს მოწყურებული ბაჩო ახალაია, ვანო მერაბიშვილი, მეგიზ ქარდავა და სხვები. ისინი თუ დაბრუნდნენ, იცოდეთ, რომ საქართველოში სისხლის გუბეები დადგება. აი, ამაზე ვდარდობ და არა „ქართულ ოცნებაზე“.

ვერავინ დამაჯერებს, რომ ნაციონალები და ბოკერიას პარტია ქუჩაში დემოკრატიული ღირებულებების დასაცავად იბრძვიან. ისინი ქუჩაში რევანშის აღების წყურვილმა გამოიყვანა. პოლიტიკური რევანში გახლავთ მათი ყოველდღიური საზრუნავი.

რამდენიმე თვის წინ საკმაოდ სკანდალური ინფორმაცია შევიტყვე და ამის შესახებ „ახალ თაობასაც“ მოგეცით ინტერვიუ. ვისაც აღარ ახსოვს, შევახსენებ, რომ რამდენიმე თვის წინ ბიძინა ივანიშვილთან ჩამოსული იყო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი.

მან ხელისუფლების გადაბარების გეგმა წარუდგინა და პირდაპირ უთხრა, რომ ძალაუფლება „ევროპული საქართველოსთვის“ გადაებარებინა. იმ მომენტისთვის პრემიერის პოსტზე გიგი წერეთლის კანდიდატურა განიხილეს.

თავიდან ყველაფერი ისე ჩანდა, რომ „ოცნების“ ლიდერი ვაშინგტონთან დათმობაზე წავიდა. ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, შემიძლია გითხრათ, რომ ივანიშვილი მათ გაუძალიანდა.

– ეს გაძალიანება რით გამოიხატება?

– იმით, რომ რაც რუსთაველზე ხდება, აქ ისე წავა პროცესები, რომ შეიძლება ივანიშვილს იქით ახვეწინონ, ხელისუფლებას ბოკერიას გუნდს გადავაბარებო.

ის პროტესტი, რომელიც დღეს ქვეყნის მთავარ გამზირზე მიმდინარეობს, სწორედ აქეთკენ არის მიმართული. აქციის 80%-ს გულანთებული ახალგაზრდები შეადგენენ, მაგრამ ეს გაიძვერა ნაციონალები მათ გულწრფელობას სათავისოდ იყენებენ. ეს ყველაფერი ძალიან ნიჭიერი ადამიანის მიერ დაწერილ სპექტაკლს ჰგავს.

ახალგაზრდებს მოახდენინებენ რევოლუციას და მერე თავად დასხდებიან სავარძლებში.

– ახალგაზრდები ამბობენ, რომ ისინი პოლიტიკოსებს გვერდით არ დაიყენებენ.

– ასე იძახიან, მაგრამ, ხელისუფლება თუ გადადგა, პროცესები ვინ უნდა მართოს? უნდა თუ არა ვინმეს, ამ პროცესებში პოლიტიკოსები ჩაერთვებიან. ნაციონალები ტურებივით არიან ჩასაფრებული და ერთი სული აქვთ, როდის დადგება მათი დრო. და ეს მათი დრო შეიძლება ძალიან მალე დადგეს.

– „ოცნება“ ამ დროს რას აკეთებს, ბუზებს ითვლის?

– თავში გითხარით, რომ „ოცნების“ საქმე ასეა, არც შენი იცოდე და არც სხვისი გესმოდესო. მმართველი პარტია ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. დღეს მას მხოლოდ ერთი გამოსავალი აქვს – ვადამდელი არჩევნები უნდა დანიშნოს. ვიმეორებ, ეს გარდაუვალია და ჯობია, თავად გააკეთონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას დროებითი მთავრობა გააკეთებს.

– რა ხეირს მიიღებს მმართველი ძალა იმით, თუ თავად დანიშნავს ვადამდელ არჩევნებს?

– ასე არჩევნებზე 15%-ს მაინც აიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ გაქრება პოლიტიკური სცენიდან.

– „ოცნებაში“ გადაწყვეტილებებს ივანიშვილი იღებს. ისიც ვერ აცნობიერებს მოსალოდნელ საფრთხეებს?

– ივანიშვილმა როგორ უნდა გააცნობიეროს საფრთხეები, როდესაც გაბრუებული ადამიანების გარემოცვაშია მოქცეული.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ მისი მრჩევლები სულ გაბრუებულები დადიან. აი, ასეთი ადამიანების რჩევებით ხელმძღვანელობს „ოცნების“ ლიდერი.

როდესაც ადამიანს მრჩევლად ნიშნავ, ის ხომ მაინც უნდა მოსთხოვო, რომ ფხიზელი იყოს.

მივმართავ ივანიშვილს, მოჰკიდოს ხელი თავის მრჩევლებს და ან ნარკოლოგიურში წაიყვანოს, ან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში და შარდის ანალიზი ჩააბარებინოს. რა ნივთიერებებსაც ამოყრის ეს ანალიზები, საკუთარი თვალით იხილოს.

ამ ადამიანს, უბრალოდ, არ ეკადრება, რომ მისი გარემოცვა მორფინისტების ბუდეა. როდესაც ეს მრჩევლები ერთად თავს იყრიან, ისეთი ამბავია, გეგონება, მეტადონის პროგრამაში ჩართულ ადამიანებს უყურებ და არა – გავლენიანი პიროვნების მრჩევლებს.

ამ მრჩევლებს აწი რაღა გამოაფხიზლებს, მაგრამ თავად მაინც გამოფხიზლდეს. სამშობლო თუ არ უყვარს, საკუთარი თავი და ოჯახი ხომ უყვარს. საკუთარი თავისა და ოჯახის უსაფრთხოებაზე მაინც იფიქროს.

– ასე მძიმედ აქვს ვითომ საქმე?

– უმძიმესად. მე ვარ ის ადამიანი, რომელსაც ყველა გადატრიალება საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, რომლებიც კი საქართველოში მომხდარა. ყველა მათგანი ერთმანეთს ჰგავდა, განსხვავებული იყო მხოლოდ ზვიადის დამხობა.

სხვა მმართველებისგან განსხვავებით, ზვიად გამსახურდია ხალხს ძალიან უყვარდა, მასზე ლოცულობდნენ, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, მას გვერდით ძალიან ცოტა ადამიანი დაუდგა.

კარგად მახსოვს ბუნკერში გატარებული დღეები. მოგვდიოდა ინფორმაცია, რომ კანონიერი ხელისუფლების დასაცავად მოდიოდა 1.000. 2.000, 5.000 კაცი. სინამდვილეში კი ქვეყნის პრეზიდენტის დასაცავად მხოლოდ რამდენიმე ასეული მოქალაქე მოვიდა. და ეს იმ პირობებში

სანდრო ბრეგაძე:

„ივანიშვილმა ვადამდელი არჩევნები თუ არ დანიშნა, ხელისუფლების გადაბარება შეიძლება სახვეწარი გაუხდეს“

მოხდა, როცა ის საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს უყვარდა.

როცა ვარდების რევოლუცია მოხდა, საქართველოს პარლამენტის წევრი ვიყავი. ბევრი რამ ხდებოდა ჩემ თვალწინ. 2003 წლის ნოემბერში, როცა საქმე საქმეზე მიდგა და ოპოზიცია რუსთაველზე განთავსდა, შევარდნაძეს ბოლომდე იმედი ჰქონდა, რომ დასავლეთი არ გაწირავდა. მას უამრავი მეგობარი და გავლენიანი ნაცნობი ჰყავდა იქ. ამის გარდა, თავად იყო მსოფლიო დონის პოლიტიკოსი, მაგრამ ისიც იძულებული გახდა, წასულიყო.

იგივე მოხდა ასლან აბაშიძის შემთხვევაშიც. ის შევარდნაძის გაგდებიდან ნახევარი წლის შემდეგ ჩამოაგდეს. ისიც დარწმუნებული იყო თავის უძლეველობაში.

მის ჩამოგდებამდე სამი თვით ადრე საქართველოში, აშშ-ის საელჩოს თხოვნით, ბათუმში ჩავედი. საელჩოდან დამაბარეს, რომ ის რაღაც დათმობაზე უნდა წასულიყო და ამის სანაცვლოდ, შეიძლება, თანამდებობაზეც კი დარჩენილიყო. იმ დროისთვის მას რუსებიც ზურგს უმაგრებდნენ. იმდენად დარწმუნებული იყო უძლეველობაში, რომ არც კი მომისმინა. მაისში ის ხელისუფლებიდან ჩამოაგდეს.

სააკაშვილიც თავდაჯერებამ დაღუპა. 2012 წლის 1 ოქტომბერს ისიც დარწმუნებული იყო, რომ არჩევნებს მოიგებდა, მაგრამ მწარედ შეცდა.

იგივე ბედი ელის ივანიშვილს. დარწმუნებული ვარ, რომ მას მრჩევლები ათასი სისულელით უტენიან ტვინს და არწმუნებენ, რომ უდიდესი მხარდაჭერა აქვს. მას არც ძველებური მხარდაჭერა აქვს და ვერც ძალაუფლების შენარჩუნებას შეძლებს. და სანამ სახვეწრად გახდომია საქმე, ჯობია, თავად დანიშნოს ვადამდელი არჩევნები.

არც ის იქნება ცუდი, თუ „ოცნების“ წევრებს გააკონტროლებს. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მათი ნაწილი საათობით ესაუბრება ზურაბ ადეიშვილს, დათა ახალაიასა და ნაცების სხვა ლიდერებს.

ყოფილი ხელისუფლება რევანშისთვის დიდი ხანი ემზადებოდა და „ოცნების“ ლიდერს ტყუილად სჯერა, რომ საპროტესტო ტალღა მინელდება. ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნება.

– სანდრო, გაჩნდა იდეა, რომ ამ აქციების პარალელურად კონტრაქციებიც უნდა გაიმართოს. მასში მონაწილეობას „ქართული მარშის“ წევრებიც აპირებენ. თქვენც მათთან ერთად იქნებით?

– არავითარი კონტრაქცია. „ქართული მარში“ ღიად ემიჯნება კონტრაქციებს. ჩვენი გუნდიდან თუ ვინმე მიიღებს ამ ღონისძიებებში მონაწილეობას, ის ავტომატურად გაირიცხება „ქართული მარშიდან“.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ირაკლი კობახიძე ბიძინა ივანიშვილს აშანტაჟებს?

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ახალ თანამდებობას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

გავრილოვის სისხლიანი ღამის შემდეგ „ოცნებამ“ ირაკლი კობახიძე პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან ძლივს გადააყენა. 21 ივნისს ის პარლამენტის წევრის მანდატის დათმობაზეც თანახმა იყო, მაგრამ 22 ივნისს გადაიფიქრა. მეტიც, ის „ოცნებასა“ და მის ლიდერს ულტიმატუმს უყენებს და ახალ თანამდებობას ითხოვს.

ირაკლი კობახიძე რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე განიხილებოდა, ეს ინფორმაცია მედიაში ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გავრცელდა. ამ პოსტის დაკავება მასაც სურდა, ამდენად, კიდევ უფრო გაუგებარია, თუ რატომ შეჯდა ვირზე 20 ივნისს და თანამდებობის დატოვებაზე უარი თქვა, მით უმეტეს მაშინ, როცა მისი წასვლის შემთხვევაში რუსთაველზე გავრილოვის ღამე აღარ მოეწყობოდა.

ჯერ კიდევ ქვეყნის პირველი კანონმდებელი იმ დროს ბაქოში იმყოფებოდა. „ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო გვიყვება, რომ მას პარტიის ლიდერებმა რამდენჯერმე დაურეკეს, თბილისში ჩამოსვლა და გადადგომა მოსთხოვეს. კობახიძემ, რომელიც მორჩილ პიროვნებად აღიქმებოდა, ბრჭყალები გამოაჩინა და გადადგომაზე უარი განაცხადა.

მასთან რამდენიმე საათი მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და, სანამ ივანიშვილი ბოლო ხმაზე არ ააყვირა, წასვლას არ დათანხმდა.

წესით, ეს განცხადება მას უნდა გაეკეთებინა, მაგრამ „ოცნებაში“ შეეშინდათ, რამე ისეთი არ ეთქვა და კახა კალაძემ გვამცნო ეს ამბავი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავიდან კობახიძე პარლამენტის მანდატსაც თმობდა, მაგრამ ახლა გადაიფიქრა. როგორც „ოცნების“ კულუარებში ამბობენ, ის ივანიშვილისგან ახალ თანამდებობას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მანდატს არ დათმობს და ალაპარაკებითაც იმუქრება.

მმართველ პარტიაში ამ ამბიციურმა ყმაწვილმა თავისი ხასიათის გამო ბევრი გადაიმტერა, მისმა ბოლოდროინდელმა საქციელმა კი მთელი პარტია გადარია. მმართველ პარტიასთან დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ივანიშვილი თანაპარტიელებს დაჰპირდა, კობახიძეს მე მოვუვლიო.

ამ დღეებში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა ბიძინა ივანიშვილის ვაჟმა ბერამ. ეს განცხადება ყველას უჩვეულოდ მოეჩვენა – მილიარდერის ვაჟი ოპოზიციონერივით ლაპარაკობდა.

როგორც „ოცნების“ კულუარებში გვითხრეს, ბერას მამასთან ურთიერთობა დაეძაბა. შვილმა ქვეყნის არაფორმალურ მმართველს მოსთხოვა, რომ „ოცნებაში“ სერიოზული წმენდა ჩაატაროს.

– ეუბნება, ამათ გამო ხალხი გლანძღავს და მოიშორეო. გამწარებულია ბერა, ხელისუფლების უსაქციელობის გამო ხალხს ისიც კი დაავიწყდა, რაც მამამ კარგი გააკეთაო, – გვიყვებიან „ოცნების“ კულუარებში.

დაუჯერებს თუ არა შვილს ივანიშვილი, უცნობია. ისიც უცნობია, როგორ მოუვლის კობახიძეს.

კობახიძეს ალბათ იოლად მოუვლიდა, მაგრამ ახლა ბევრი რამე დაატყდა თავს. ამ დღეების განმავლობაში უამრავი შეხვედრა გამართა. ამერიკა და რუსეთი მას სხვადასხვა მოთხოვნას უყენებენ. ის იძულებულია, ორივე მხარეს გაუწიოს ანგარიში. ამ ფონზე ნასპიკერალის მოსავლელად ცოტა დრო აქვს.

მისგან განსხვავებით, ოპოზიციის ნაწილსა და სტუდენტებს უკვე მოფიქრებული აქვთ, რა უნდა მოუხერხონ დეპუტატის მანდატს ჩაფრენილ ნასპიკერალს.

ოპოზიცია ამბობს, რომ მას პარლამენტში არ შეუშვებს, თსუ-ს სტუდენტები კი უნივერსიტეტში ლექციების ჩაშლით ემუქრებიან.

ლია მუხაშავრია: „ნაცმოძრაობასა და „ოცნებას“ შორის ტოლობის დასმა უკვე მარტივად შეიძლება“

„შსს-მ ძალას გადაამეტა, შესაძლოა, ეს საქმე სტრასბურში წავიდეს“

იაგო ნაცვლიშვილი

ის, რითიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლება თავს იწონებდა, რომ არ არბევდა საკუთარ ხალხს, წარსულს ჩაბარდა. „ქართულმა ოცნებამ“ ეს მორალური უპირატესობაც დაკარგა და ნაციონალური მოძრაობის მანკიერი პრაქტიკაც გადაიბარა თავის არსენალში, როდესაც შსს-მ 20 ივნისის ღამეს ჯერ აქცია დაშალა, ხოლო შემდეგ დაარბია.

სპეცრაზმელები აქციის მთელ პერიმეტრზე ახლო მანძილიდან დამიზნებით ესროდნენ რეზინის ტყვიებს მომიტინგეებს. შედეგად დაშავდა არაერთი მომიტინგე, ზოგიერთს აღენიშნებოდა უმძიმესი დაზიანების კვალი. დაშავდნენ მედიის წარმომადგენლებიც. დაშავებულები იყვნენ პოლიციისა და სპეცრაზმელების მხარესაც, რომელთა მიმართაც იერიში მომიტინგეების ნაწილმა მიიტანა, როდესაც ისინი პარლამენტში შეჭრას ცდილობდნენ.

საბედნიეროდ, 20 ივნისის უმძიმესმა ღამემ მსხვერპლის გარეშე ჩაიარა.

აღნიშნულ საკითხზე „ახალი თაობა“ იურისტ **ლია მუხაშავრიასესაუბრა.**

– როგორია 20 ივნისის ღამის მოვლენების სამართლებრივი შეფასება თქვენი მხრიდან? გვესმის ხელისუფლებისგან, რომ აქცია გადავიდა ძალადობრივ ქმედებებში და ა.შ. თუ ჰქონდა შსს-ს საფუძველი, რომ აქცია დაეშალა და დაეშალა იმ ფორმებით, რაც ჩვენ ვნახეთ?

– იცით რა? გახარიამ გვითხრა, რომ ეს არის შტურმი პარლამენტზეო, მაგრამ თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ მთავრობის რომელიმე დაწესებულების შტურმი შიშველი ხელებით?! ასეთი რამე არ ხდება. შტურმის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება მაშინ, როდესაც შეიარაღებული ჯგუფი ან შეიარაღებული მასა ცდილობს, სადღაც შეიჭრას. ადამიანები შიშველი ხელებით შტურმს როგორ მოაწყობდნენ?!

უბრალოდ, ხელისუფლებამ უფლებამოსილებას მართლაც ძალიან გადაამეტა. გამოიყენა აკრძალული მეთოდები. გამოიყენა რეზინის ტყვიები, რომელთაც დამიზნებით ესროდა მომიტინგეებს. მათ ჰქონდათ წყლის ჭავლი, ჰქონდათ მხუთავი აირი გამოყენებული. ეს სავსებით საკმარისი იყო აქციის დასაშლელად. აბსოლუტურად არ იყო საჭირო ის ქმედებები, რასაც შემდეგ ისინი იყენებდნენ, როდესაც ისინი მისდევდნენ მომიტინგეებს რუსთაველის გამზირის მთელ პერიმეტრზე, გვერდზე ქუჩებზე, პარკებში, სკვერებში, სადარბაზოებში. ეს იყო აბსოლუტურად ძალის გადამეტებული ქმედება და უკანონობა და ამასთანავე სრულიად გაუმართლებელი.

გაუმართლებელი იყო ჯერ ამ აქციის დაშლა და შემდეგ მისი დარბევა ხომ სრულიად მიუღებელი იყო.

– რა რეაგირება შეიძლება მოჰყვეს ამას სამართლებრივი თვალსაზრისით? ხელისუფლება კი ამბობს, რომ ძალის გადამეტების ფაქტებს გამოიძიებს, მაგრამ გასაგებია, რომ არ გვაქვს საზოგადოებას ამის იმედი. ხომ არ გგონიათ, რომ ეს არის ისეთი საქმე, რომელიც შესაძლოა წავიდეს ევროპულ სასამართლოში?

– რა თქმა უნდა. ვინც დაზიანდა და ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო, მათ შორის დაკარგა მხედველობა, თუ ის ადამიანები გაასაჩივრებენ და თუ ხელისუფლების მხრიდან არ მოჰყვება ამ ფაქტების გამოძიება, დამნაშავე პირების იდენტიფიკაცია და მათი პასუხისგებაში მიცემა, მაშინ შესაძლებელია, რომ ეს საქმე ევროსასამართლოში წავიდეს. გასაჩივრდება ევროპულ სასამართლოში და, შესაძლოა, დაზარალებული მხარის გამარჯვებით დასრულდეს.

უბრალოდ, ახლა წინასწარ ამის თქმა ძნელია, წავა თუ არა ეს ფაქტები ევროსასამართლოში, იმიტომ, რომ მგონია, ამ ხელისუფლებას დიდი დრო არ აქვს დარჩენილი, ხოლო ახალ ხელისუფლებას არანაირი დაბრკოლება არ ექნება იმისთვის, რომ გამოიძიოს 20-21 ივნისის ღამეს დარბევის დანაშაულის ფაქტები და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავე პირები.

– საზოგადოებაში ყოველთვის იყო განცდა, რომ ამ ხელისუფლებას არ დაურბევია საკუთარი მოქალაქეები და „ოცნებაც “ ამით სარგებლობდა, წინა ხელისუფლებას აძახებდა სისხლიან 9 წელს. რაც ვნახეთ, არის თუ არა ის, რომ ყველაფრით გაუთანაბრდა „ოცნება “ ნაცმოძრაობას?

– რა თქმა უნდა. თითქმის იგივე ქმედებები ჩაიდინა „ქართულმა ოცნებამ“, რაც ჰქონდა ჩადენილი ნაციონალურ მოძრაობას 2007 წლის 7 ნოემბერსა და 2011 წლის 26 მაისს, ამიტომ, მარტივად შეიძლება უკვე მათ შორის ტოლობის დასმა.

– თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლა?

– რაც უფრო გაჭიანურდება შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომის საკითხი, მით უფრო დაგროვდება საპროტესტო მუხტი. შეიძლება ამას მოჰყვეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და ყველაზე მთავარი მოთხოვნაა, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა გაუქმებული იყოს და პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარდეს შემდეგი არჩევნები.

მე ვფიქრობ, რომ ეს იქნება ნამდვილი გამარჯვება, თუ ამას მივაღწიეთ ყველამ ერთად.

–ოპოზიციის ქმედებებზე რა პასუხი გაქვთ? გაჩნდა კითხვები ლიდერებზე, სად იყვნენ იმ პროცესების დროს, ხომ არ გაექცათ სადავეები ხელიდან და ა.შ. თქვენ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

– მე არა მგონია, რომ ეს იყო ოპოზიციის საპროტესტო აქცია. მე ვფიქრობ, რომ ეს იყო შეურაცხყოფილი ქართული დემოკრატიულად მოაზროვნე საზოგადოების პროტესტი. იქ ოპოზიციის ლიდერებს მხოლოდ მეხუთედის როლი შეეძლოთ შეესრულებინათ. მე მგონი, მათ სრულიად ღიად უთხრა მანიფესტაციებით გამოსულმა საზოგადოებამ, რომ მათ ემიჯნებიან და მათთან ერთად არ სურთ ამ საპროტესტო აქციის ჩატარება. ამიტომ, მე ვფიქრობ, მათ ვერაფერსაც ვერ მიაღწიეს. ეს საპროტესტო აქცია არც მათი დაწყებული ყოფილა და ამას ვერც დაასრულებენ.

– შსს-მ გამოძიება დაიწყო და გამოკითხვაზე დაბარებული არიან ოქრუაშვილი, უგულავა და მელია.

– მათ ჰქონდათ ამის საფუძველი. მაგალითად, მე მელიას გამონათქვამებში დავინახე ძალადობისკენ მოწოდება, რაც დასჯადი ქმედებაა. სულ არ გამიკვირდება, რომ მელიას წინააღმდეგ დაიწყოს გამოძიება.

– მოლოტოვის კოქტეილები ახსენა შსს-მ და ამაზე რა მოლოდინი გაქვთ?

– მოლოტოვის კოქტეილებზე შესაძლოა ინდივიდუალურად იყოს საქმე აღძრული იმ პირების წინააღმდეგ ვინც გამოიყენა, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი ფაქტები არსებობს. იქ, არა მგონია, რომ მთლიანობაში იყოს საქმე აღძრული. შესაძლოა, იქ იყო ერთეული პროვოკატორების ქმედება, რომელიც მხოლოდ პროვოკაციად დარჩა და ის არ შედიოდა არც აქციის ორგანიზატორების გეგმებში და არც არავის სურდა, რომ ეს მოლოტოვის კოქტეილები გამოყენებული ყოფილიყო.

ილია II: „ცუდი მოვლენებია ჩვენ გარშემო. არ დაუშვათ შეცდომა!“



– მინდა, მოგმართოთ თხოვნით, რომ ფრთხილად იყოთ და არ დაუშვათ რამე შეცდომა!

ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

როგორც პატრიარქმა აღნიშნა, იმედია, რომ ღმერთი მშვიდობას მოგვცემს და დიდ წყალობას.

– ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან რთული დროს. ცუდი მოვლენებია ჩვენ გარშემო. ამიტომ, მე მინდა მოგმართოთ თხოვნით, რომ ფრთხილად იყოთ და არ დაუშვათ რამე შეცდომა. იმედია, ღმერთი მშვიდობას მოგვცემს და დიდ წყალობას. თქვენ იცით, რომ საქართველო ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ არის. განსაკუთრებით იფარავს საქართველოს, – ბრძანა პატრიარქმა.

ინტერპრესნიუსი

დავით ბაქრაძე: „რუსეთის დაბრუნება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მიუღებელია“

– მიუღებლად მიმაჩნია რუსეთის ფედერაციის დაბრუნება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში იმ დროს, როდესაც კიდევ ერთხელ ყველა დავრწმუნდით, რომ პუტინი პოლიტიკური მოსაზრებებით მზად არი,ს გამოუცხადოს მორიგი ეკონომიკური ემბარგო საქართველოს და დასაჯოს ქვეყანა.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ლიდერმა დავით ბაქრაძემ სტრასბურში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში გამგზავრებამდე განაცხადა.

ბაქრაძის თქმით, მომავალ კვირაში ევროსაბჭოს ასამბლეაში ძალიან მნიშვნელოვანი სხდომა იქნება.

– აბსოლუტურად მიუღებლად მიმაჩნია რუსეთის ფედერაციის დაბრუნება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში იმ დროს, როდესაც რუსეთი აგრძელებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას. იმ დროს, როდესაც რუსეთი აგრძელებს ყირიმის ანექსიას და ომს აღმოსავლეთ უკრაინაში. იმ დროს, როდესაც კიდევ ერთხელ ყველა დავრწმუნდით, რომ პუტინი პოლიტიკური მოსაზრებებით მზად არის გამოუცხადოს მორიგი ეკონომიკური ემბარგო საქართველოს და დასაჯოს ქვეყანა.

ასეთ პირობებში რუსეთის დაბრუნება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში იქნება ყველა ამ უკანონობის წახალისება.

ამიტომ ჩვენი ამოცანაა, ოკუპანტს ვაგებინოთ პასუხი საკუთარ უკანონო ქმედებებზე და დანაშაულზე ყველგან – საქართველოშიც, სტრასბურშიც და მთელ მსოფლიოშიც. ამიტომ, ძალიან მჭიდრო კონტაქტში უკვე ვმუშაობთ და ვიმუშავებთ უკრაინის დელეგაციასთან და გამოვიყენებთ ყველა საშუალებას პოლიტიკურს, სამართლებრივს, პროცედურულს იმისთვის, რომ ოკუპანტ ქვეყანას არ მიეცეს საშუალება დაბრუნდეს ევროსაბჭოს დარბაზში, დაბრუნდეს იმ ორგანიზაციაში, რომლის ამოცანაც არის ადამიანის უფლებების დაცვა. იმ პირობებში, როდესაც რუსეთი განაგრძობს ოკუპაციას, რუსეთი განაგრძობს დევნილების უფლებების ფეხქვეშ გაქელვას და რუსეთი განაგრძობს საკუთარ უკანონო ქმედებებს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი სხდომა იქნება და იმედი მაქვს, რომ ევროსაბჭოს ასამბლეის დეპუტატთა უმეტესობა შეეწინააღმდეგება რუსეთის დაბრუნებას ამ ფორმატში, – განაცხადა ბაქრაძემ.

ინტერპრესნიუსი

ირაკლი მენაღარიშვილი: „ეს პუტინის რეპრესიული ნაბიჯია, ჰგონიათ, რომ კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით“

იავო ნაცვლიშვილი

ვცენ, თუ არადა, საქართველოში ტურიზმს სერიოზული ზიანი მიადგებაო. ასე ჰგონიათ, რომ მხოლოდ მასზე დგას საქართველოში ტურიზმი?

– რა თქმა უნდა, ასე ჰგონიათ. ბუნებრივია, რუსეთიდან ჩამომსვლელ ტურისტთა რიცხვი მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისთვის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ტურიზმი სერიოზულად დაზარალდება. რა თქმა უნდა, ეს მიაყენებს ზიანს საქართველოში ტურიზმს, მაგრამ ამის გამო საქართველო პოლიტიკურ კომპრომისებზე წამსვლელი არ არის. ამის რეალიზაცია უნდა მას, მაგრამ ეს გეგმა, ცხადია, არ გამოუვა.

– საქართველოს ხელისუფლების პოზიცია და გადაწყვეტილება როგორი უნდა იყოს ამ შემთხვევაში?

– არა მგონია, რომ ჩვენ აქ უნდა ავკრძალოთ რუსი ტურისტებისა და რუსი მოქალაქეების შემოსვლა. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ისეთივე ღია და ნორმალური ურთიერთობის პოლიტიკის გატარება. ხალხი თვითონ დაინახავს, ვინ იგებს ამით და ვინ აგებს. ცხადია, რუსეთის მოქალაქეებს ვგულისხმობ.

– ხომ არ გგონიათ, რომ სტრატეგიული შეცდომაა საქართველოს მხრიდან ის, რომ ზედმეტად არის მიბმული ჩვენი ეკონომიკა და სხვა გზები ხომ არ უნდა მოგვეძებნა აქამდეც, რადგან პუტინის ასეთი მეთოდები პირველი არ არის?

– რა თქმა უნდა, ამის გაკეთება საჭიროა, ოღონდ ეს უნდა მოხდეს არა რუსეთის რესურსების შეზღუდვით, არამედ უფრო მეტად აქტიური მუშაობაა საჭირო სხვა ბაზრების ასათვისებლად. საჭიროა ბევრად უფრო მეტი ინტენსივობით მუშაობა, განსაკუთრებით – ისეთი სფეროების მიმართულებით, როგორებიც არის ღვინის ექსპორტი, ტურიზმი, სოფლის მეურნეობის ექსპორტი და ა.შ. აქ ნამდვილად იყო საჭირო ამის გატარება და მანამდე რა მოვლენებიც იყო განვითარებული, ამასაც უნდა ესწავლებინა ჩვენთვის ჭკუა. ახლა დროა, დღევანდელი ვითარებიდან მაინც გავაკეთოთ დასკვნა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ გამგეობის თავმჯდომარე გიორგი კეპულაძე ამბობს, რომ რუსული ბაზარი პოლიტიკური ბაზარია და აქამდეც უნდა გვქონოდა ეს გათავისებული. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება საქართველოს ხელისუფლებასა და ბიზნესს.

– რამდენად დამაზიანებელია პუტინის გადაწყვეტილება ქართული ეკონომიკისთვის?

– რუსეთი არის პოლიტიკური ბაზარი, რომელიც ეკონომიკასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებს პოლიტიკური კონიუნქტურით და მნიშვნელოვანია, რომ თავიდანვე გვქონდეს ჩვენ ეს გათავისებული და ვიცოდეთ, რომ ამ ბაზარზე ზედმეტად მიბმა სარისკოა. ის, რომ საქართველო ძალიან არ არის დამოკიდებული რუსეთის ბაზარზე, არც ტურიზმზე და არც რუსეთზე, როგორც სავაჭრო პარტნიორზე, კარგია. ეს დამოკიდებულება ბოლო წლებში გაიზარდა იმასთან შედარებით, რაც მანამდე იყო.

შარშან საქართველოში შემოვიდა 1.4 მილიონი რუსი ტურისტი, საიდანაც დაახლოებით 75-80%-მა საზღვარი გადმოკვეთა ლარსის გამშვები პუნქტიდან, ანუ სახმელეთო საზღვრით შემოვიდა და არა ავიამიმოსვლით, ამიტომ მხოლოდ რუსული ავიაკომპანიებისთვის ფრენების შეზღუდვა არ გამოიწვევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზიანს. ეს იქნება დაახლოებით 250-300 მილიონი დოლარი. ეს მონაცემები იქნება, თუ ავიღებთ, რომ განახევრდა სახმელეთო ტურისტების რაოდენობაც. დაახლოებით 300 მილიონამდე ზიანს მივიღებთ, თუმცა მისი კომპენსირება შესაძლებელია იმ ქვეყნების ხარჯზე, რომლებსაც საქართველოში შემოჰყავთ ტურისტები.

– ასე გგონიათ, რომ სახმელეთო მიმოსვლის შედეგად შემოსული ტურისტების რაოდენობა მხოლოდ განახევრდება? იქიდან გამომდინარე, რომ ვიცით, რუსეთში ავტორიტარული მმართველობაა და ხომ არ იქნება რუსი ტურისტებისთვის საქართველოში შემოსვლის აკრძალვის დირექტივა?

– ასე პირდაპირ ვერ აკრძალავენ. ეს მათ ვერ აკრძალეს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგაც კი. შესაძლოა, რეკომენდაცია მისცენ, თქვენი იქ წასვლა უსაფრთხო არ არისო. ეს ყველაფერი არის დამაზიანებელი ჩვენი ეკონომიკისთვის. მე არ ვამბობ, რომ არაფერ შედეგს არ მოიტანს, რა თქმა უნდა, სარისკოა. ქვეყნის ეკონომიკას დააზიანებს, თუმცა არა იმ მასშტაბით, როგორც 2006 წელს დააზიანა, თუმცა მაშინაც მოახერხა ქვეყანამ, რომ 2007 წელს ეკონომიკის რეკორდულ ზრდაზე გასულიყო. 12%-იანი ეკონომიკური ზრდა გვქონდა მაშინ. გახსოვთ, რომ 2006 წელს ემბარგო დაგვიწესა რუსეთმა და ამის გამო მივიღეთ აღნიშნული ეკონომიკური ზიანი.

ყველაფერია მოსალოდნელი. ეს არის ჰიბრიდული ომის ნაწილი, ეკონომიკური ომი და რუსეთი ცდილობს, ამ ეკონომიკური სანქციებით მიაღწიოს პოლიტიკურ მიზნებს. რამდენად გამოუვა, უკვე ცალკე საკითხია.

ეს რომ არ გამოუვიდეს, საჭიროა, საქართველოს მთავრობამ ჩვენს პარტნიორ ქვეყნებთან ბევრი იმუშაოს, რათა ეს ზიანი მინიმუმამდე დავიყვანოთ, თორემ, გეთანხმებით, რისკია იმის, რომ კიდევ უფრო მეტად შემცირდეს ტურისტების რაოდენობა, ჩვენგან იმპორტიც აკრძალონ და ბევრი რამე შეიძლება მოხდეს, თუმცა ამისთვის მზად უნდა ვიყოთ.

– არის თუ არა ეს ჩვენი მხრიდან ეკონომიკური პოლიტიკის შეცდომა?

– რუსეთზე ზედმეტად მიბმა არ ვარგა. აქამდეც უნდა ეზრუნა როგორც ჩვენს ბიზნესს, ასევე მთავრობას, რათა არ ვყოფილიყავით დამოკიდებული მტერი ქვეყნის ეკონომიკაზე. შესაბამისად, ყველა შესაძლო რისკი თავიდანვე უნდა ყოფილიყო გაცნობიერებული. პუტინი ამ გადაწყვეტილებას დღეს თუ არა, ხვალ მიიღებდა.

როგორ შეიძლება, პუტინის მადა დავაკმაყოფილოთ, საბოლოოდ რუსეთის გუბერნიად ხომ არ გადავიქცევით?! ბოლო წერტილი შეიძლება ეგ იყოს, რითიც რუსეთი დაკმაყოფილდება, თორემ, ისე რაც არ უნდა დავთმოთ, უფრო და უფრო მეტ დათმობას მოგვთხოვს. ეს მთავრობას თავიდანვე უნდა გაეთვალისწინებინა.

ფორმატები რომ აქვს მას, როგორიც არის აბაშიძე-კარასინის და ა.შ., რომელიც თითქოს ეკონომიკური და ჰუმანიტარული საკითხების მოსაგვარებლად შეიქმნა, ფაქტია, რომ ყველა ფორმატმა კრახი განიცადა და ის რიტორიკა, რომ ჩვენთან კარგი ეკონომიკური ურთიერთობა აქვს, წარსულს ჩაბარდა.

– გარდა იმისა, რომ სხვა ბაზრები გვაქვს მოსაძებნი, კიდევ რა პასუხი უნდა იყოს გაცემული რუსეთისთვის ჩვენი მხრიდან?

– რუსეთს ჩვენ პასუხი გავეცით, რამდენად კარგად, არ ვიცი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მას ვუთხარით, რომ აქ რუსეთის ოკუპაციას არავინ შეეგუება, მათ შორის ახალგაზრდა თაობაც, რომელიც, შესაძლოა, არც მოსწრებია 90-იან წლებს და, შესაძლოა, 2008 წლის ომის დროსაც საკმაოდ პატარები იყვნენ. ისინიც კი არ შეჰგუებიან რუსეთის ოკუპაციას.

საქართველოს აქვს თავისი გზა და ეს არის პროდასავლური არჩევანი, რასაც არც ერთ შემთხვევაში არ დათმობს საქართველო. ეს არის ქართველი ხალხის პასუხი. რას უპასუხებს მას ბიძინა ივანიშვილი და მისი მთავრობა, სიმართლე რომ გითხრათ, ნაკლებად მაინტერესებს.

აპირებდა თუ არა ხელისუფლება „რუსთავი 2“-ის დარბევას

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულმა ოცნებამ“ დამკაში გასვლამდე ცოტა ხნით ადრე ევროპა მართლა გააოცა – აქციის მონაწილეების წინააღმდეგ დიდი ზომის ცხოველებისთვის განკუთვნილი რეზინის ტყვიები გამოიყენეს.

ამ დემოკრატიული დარბევიდან გამომდინარე, საქართველოში აღარავინ დააჭვა „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ. ნიკა გვარამიას თქმით, ხელისუფლება ტელეკომპანიაზე შტურმის განხორციელებას აპირებს.

სკანდალური განცხადება ნიკა გვარამიამ გუშინ, 23 ივნისს, საღამოს გააკეთა.

– ორმა წყარომ, მათ შორის ერთმა მაღალმა სახელისუფლებომ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ მიმდინარეობს გადაწყვეტილების მიღება „რუსთავი 2“-ის ძალადობრივი აღების შესახებ დღეს ღამით. ამ იდეას ჰყავს მოწინააღმდეგეები და მომხრეებიც ხელისუფლებაში. ეს ის შემთხვევაა, როცა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ გალაშქრება შეძლო და გაბედა ხელისუფლების რამდენიმე გონიერებაშერჩენილმა წევრმა.

სხვა ვითარებაში მოვიწვევდი დიპკორპუსსს, დაველაპარაკებოდი ენჯეოებს, მაგრამ ახლა მიმაჩნია, ის, რაც ქვეყანაში ხდება ბოლო კვირების განმავლობაში, არის რუსული სცენარი, სამწუხაროდ, ქართული ხელისუფლების თანამონაწილეობით.

მე ვერ დავადანაშაულებ ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს. მე მგონია, რომ ხელისუფლების წევრებში არიან საქართველოს პატრიოტები, მიუხედავად იმისა, რომ ღრმად არასწორად ხედავენ საკითხებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ხელისუფლების მთავარი ღერძი არის რუსული ინტერესების გატარება და ამ ღერძის სათავეში დგას ბიძინა ივანიშვილი და, რა თქმა უნდა, ხელისუფლებისა და პარლამენტის გარკვეული წარმომადგენლები ამ ღერძს შეადგენენ.

ამიტომ, რა მიზეზიც არ უნდა იყოს, აქ შემოსვლის, რაც არ უნდა გამოაქვეყნოთ, მაგალითად, ფარული ჩანაწერები და რაღაც ლეგიტიმური, ერთი შეხედვით, მიზნები, არ გაბედოთ ამის გაკეთება, ამ შემთხვევაში უკვე იმიტომ არა, რომელი არხი დაიხურება და ადამიანებს შეეხებით და ა.შ. არ გაბედოთ ამის გაკეთება იმიტომ, რომ ამან შეიძლება ქვეყანაში გამოიწვიოს მწვავედ უმართავი პროცესები, ძალადობა ქუჩებში და, რა თქმა უნდა, ეს შედის ჩვენი მთავარი და ერთადერთი მტრის, რუსეთის ინტერესებში, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

გვარამიას ამ განცხადებას სასწრაფო წესით გამოეხმაურა მმართველი პარტია. საგანგებო განცხადება გააკეთა პარლამენტის მომავალმა თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ.

მან ღვთისა და ერის წინაშე პირობა დადო, რომ „ქართული ოცნება“ არც ერთ მედიასაშუალებას არ დააწიოკებს.

ნიკა გვარამია მან ნაცმოძრაობის პროვოკატორად მოიხსენია.

– მას შემდეგ, რაც მასობრივი არეულობისა და ძალადობრივი სცენარი აღიკვეთა, ნაციონალურმა მოძრობამ და მისმა მთავარმა პროპაგანდისტულმა მანქანამ მიმართა უბინძურეს პროვოკაციას, რასაც ახლა ჩვენ თვალს ვადევნებდით პირდაპირ ეთერში. ისინი ქართველ საზოგადოებას უხმობენ არარსებული საფრთხისგან „რუსთავი 2“-ის დასაცავად.

ეს ემსახურება მიმდინარე აქციებზე მუხტის შენარჩუნების მცდელობას და არავითარი საფრთხე საქართველოში არც ერთ მედიას, მით უმეტეს, ხელისუფლების მხრიდან, არ ემუქრება. შესაბამისად, ნიკა გვარამიას მონათხრობი არის სრული აბსურდი და სიცრუე.

ეს მიმდინარე საინფორმაციო კამპანია ემსახურება აქციაზე მუხტის შენარჩუნების მცდელობას. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება სწორად შეაფასებს ამ დეზინფორმაციას. ეს არის გაგრძელება მათ მიერ მოფიქრებული გეგმის, მას შემდეგ, რაც აღიკვეთა ძალადობრივი სცენარის განვითარება, – განაცხადა თალაკვაძემ.

ძალიან კარგია, თუ ხელისუფლება თავისუფალ მედიას არ შეუვარდება, მაგრამ, ცოტა ძნელია, „ოცნებას“ დაუჯერო.

20-21 ივნისის სისხლიან ღამეს, როცა რუსთაველზე ხალხს ცრემლსადენი გაზის ყუმბარებს ესროდნენ და თვალებს სთხრიდნენ, პრემიერი მამუკა ბახტაძე ერის წინაშე ღაღადებდა, ჩვენ ის ხელისუფლება არ ვართ, რომელიც ხალხის წინააღმდეგ ცრემლსადენ გაზსა და რეზინის ტყვიებს იყენებსო.

ვინ მისტირის რუს ტურისტებს?

თუ საქართველო რუსეთს ნამდვილად ოკუპანტად მიიჩნევს, მასთან უვიზო რეჟიმი არ უნდა ჰქონდეს

მარიამ მჭედლიშვილი

ეკონომიკის პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირი 20 ივნისსა და მის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა.

პუტინის გადაწყვეტილებამ 8 ივლისიდან რუსეთ-საქართველოს შორის ფრენების აკრძალვაზე ჩვენში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. სხვადასხვაგვარმა პოზიციებმა შექმნა ერთგვარი ქაოსი ტურიზმის სფეროში.

ამ ვითარებაში ბოლომდე გასაგები არ არის პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის 22 ივლისს გავრცელებული განცხადება. იგი ამბობს, რომ პოლიტიკური დაძაბულობა რუსეთსა და საქართველოს შორის არ უნდა აისახოს ტურისტებზე. მისი თქმით, პოლიტიკური საკითხები პოლიტიკოსებმა უნდა გადაწყვიტონ, რუსმა ტურისტებმა კი საქართველოში უნდა იარონ. მოსკოვსა და თბილისს შორის დიდი ხანია, დაძაბულობაა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მილიონ-ნახევარი ტურისტის ჩამოსვლას საქართველოში.

საქართველოს ტურისტულ სფეროში დასაქმებული და რიგითი მოქალაქეების ნაწილი ჩაერთო ალტერნატიული დამსვენებლების მოზიდვის კამპანიაში. მაგალითად, ბათუმისა და თბილისის ზოგიერთმა კაფემ და რესტორანმა გააძვირა ფასები რუსებისათვის და შესასვლელში გამოაკრა კითხვა – უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას? ნაწილმა უფასო სერვისები შემოიღო სხვა სახელმწიფოებიდან ჩამოსული სტუმრებისათვის. ზოგმა, მაგალითად, ინგლისურენოვან ტურისტებს გარკვეული დროით დაუთმო აგარაკი მცხეთაში.

ჯორჯიან აირვეიზის შეთავაზებით, რუსეთთან პირდაპირი რეისების მაგივრად შემოდის მარშრუტი თბილისი-ერევანი-მოსკოვი.

ბიზნესმენი მამუკა ხაზარაძე მზადაა, დააფინანსოს აირზენას 10 ჩარტერული რეისი ტურისტული ინდუსტრიის მხარდასაჭერად. ჩარტერული რეისები რუსეთში არ განხორციელდება.

ამის პარალელურად, ქართული სააგენტოების ცნობით, გრძელდება რუსეთის მოქალაქეების ხელმოწერები პეტიციაზე პუტინის მიმართ. ისინი ითხოვენ კრემლის ლიდერისაგან, არ დაუშვას ავიამიმოსვლის შეწყვეტა რუსეთსა და საქართველოს შორის.

პუტინს ინდივიდუალურად მიმართა ვალერი კვარაცხელიამ, რომელსაც ადრე პარტია ნეიტრალური საქართველო ჰქონდა, ახლა კი სოციალისტური მიმართულების ორგანიზაცია აქვს. კვარაცხელიამ მოუწოდა პუტინს, გააუქმოს გადაწყვეტილება ფრენების აკრძალვის თაობაზე. მისი თქმით, საქართველოს მმართველი პარტია და ოპოზიცია გარე ძალებიდან იმართებიან, ქართველი ხალხის პოზიცია კი მათსას არ ემთხვევა.

კვარაცხელიას მიმართვა, თუ ის პუტინამდე მივა, ალბათ, ადრესატს ეამება. სხვა საკითხია, დაიჯერებს თუ არა ის, რომ კვარაცხელია ხალხის სახელით ლაპარაკობს.

ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ ეს გადაწყვეტილება საქართველოს ეკონომიკას აზარალებს. იგი იმედოვნებს, რომ რუსეთის ხელისუფლება საქართველოს წინააღმდეგ სხვა აკრძალვებს არ შემოიღებს.

რუსეთიდან ტურისტული თუ სხვა სახის ემბარგო ქვეყანას მეხად არ უნდა დასტყდომოდა. საქართველოს ხელისუფლებას ადრევე სხვანაირად უნდა ემოქმედა.

„ქართული ოცნების“ პასუხისმგებლობა იკვეთება არა მარტო რუსეთის დელეგაციის ვიზიტის პროვოკაციული მოწყობის, მოვლენებზე არათანმიმდევრული რეაქციისა და მიტინგის სასტიკად დარბევის გამო, არამედ, იმაზეც, რომ ბოლო წლებში ქვეყნის ეკონომიკა დიდი დოზით ტურიზმზე, თანაც, რუს ტურისტებზე გახადა დამოკიდებული.

ტურისტები ოკუპანტი სახელმწიფოდან გადააქციეს საქართველოს შემოსავლის წყაროდ. „ოცნების“ ყველა პრემიერი ფოკუსირებული იყო ტურიზმზე. დამსვენებლები რუსეთიდან მომრავლდნენ არა მარტო საქართველოს ზღვისპირა და მთიან რაიონებში, არამედ, თბილისში. ბევრი მათგანი სასტუმროებს საცხოვრებელი ბინების დაქირავებას არჩევდა, საჭმელს კი თვითონ იმზადებდა, ანუ საქართველოს მათი სტუმრობიდან, ფაქტობრივად, არ ჰქონდა შემოსავალი.

საქართველოს ხელისუფლებას უნდა გაეთვალა, რომ რუსეთთან სტაბილური ეკონომიკური თანამშრომლობა არ გამოვიდოდა. სააკაშვილის დროს საქართველომ მოხსნა ვიზები რუსეთის მოქალაქეებისათვის, მაგრამ საქართველოს მოქალაქეებს რუსეთში უვიზოდ არ უშვებენ.

მთავარი საზრუნავი დევნილი მოქალაქეები და ისინი უნდა გახდნენ, ვინც რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყველანაირ დისკრიმინაციას განიცდის.

თუ საქართველო რუსეთს ნამდვილად ოკუპანტად მიიჩნევს, მასთან უვიზო რეჟიმი არ უნდა ჰქონდეს.

თენგიზ დიხამინჯია: „ივანიშვილი და სააკაშვილი თამაშიდან უნდა იქნენ გაყვანილი“

გულიკო ბალაძე

უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო თენგიზ, როგორ აფასებთ იმ პროცესებს, რომლებიც ვითარდებოდა 20 ივნისის შემდეგ?

– ორი ძალა – ოცნება და ნაცმოძრაობა – სიამის ტყუპებივით არიან. ისინი ფუნდამენტურ საკითხებში თანხმდებიან, მაგრამ, როდესაც ძალაუფლების გაყოფის საკითხი დგას, ვერ თანხმდებიან. ამიტომ შემდეგ ტრაგიკული ვითარება იქმნება.

ამ საპროტესტო აქციაზე სამოქალაქო საზოგადოებისა და მოსახლეობის აბსოლუტურად სწორი რეაქცია, აბსოლუტურად დანაშაულებრივი ქმედება საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ, ნაციონალებმა გამოიყენეს რევოლუციური მოდელის გასამარჯვებლად და მივიღეთ ტრაგიკული სურათი.

ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი თამაშიდან უნდა იქნენ გაყვანილი. მათ თავიანთ საქმეს უნდა მიხედონ. ერთმა ბიზნესს უნდა მიხედოს, მეორემ – უკრაინას. ამ პიროვნებებმა ხელი უნდა აიღონ თავიანთი პარტნიორების ზემოქმედებაზე. ორივე ძალა თამაშგარე მდგომარეობაში უნდა იყოს. ოღონდ, ეს უნდა მოხდეს ბუნებრივად და არა რევოლუციური სცენარებითა და დანაშაულებრივი პოლიტიკით, რომელსაც „ოცნება“ ადგას.

– ისე, ზოგადად, დღეს ქვეყანაში რა სცენარია მოქმედებაში?

– შევარდნაძის ეპოქიდან დავიწყებ. შევარდნაძე ყოველთვის ბალანსის პოლიტიკას აწარმოებდა. ერთი მხრივ, რუსეთი არა გაშლილი დროშით, მაგრამ ეომებოდა საქართველოს, მეორე მხრივ, დასავლეთი და ამერიკა შემოდიოდნენ კავკასიაში, შავ ზღვაზე, კასპიის ზღვასა და შუა აზიაში.

შევარდნაძე, გარკვეულწილად, ცდილობდა, ორმაგი სტანდარტი ჰქონოდა, ე.წ. შუალედური პოლიტიკა ეწარმოებინა და რუსეთსა და ამერიკას შორის დაებალანსებინა. ბალანსის პოლიტიკამ გარკვეული დრო წაიღო. გარკვეულ პერიოდში ეს ამართლებდა. თუმცა, ამ მოდელმა ბოლომდე ვერ იმუშავა და შევარდნაძემ თავისი საქმიანობა სამარცხვინოდ დაასრულა.

– დღეს რა ხდება ამ მხრივ?

– ბიძინა ივანიშვილმაც მოინდომა ორმაგი სტანდარტებით თამაში, ცალკე რუსეთთან, ცალკე – ამერიკელებთან, ნატოსთან. ეს ძალიან დაბალი ტექნოლოგიური უზრუნველყოფითა და ღირსების შემლახველად გაკეთდა, რაც გავრილოვის ვიზიტითა და პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში მისი მოკალათებით დასრულდა. ამ ყველაფერმა უპრეცედენტო სახე მიიღო.

როგორც უზენაესი საბჭოს დეპუტატისთვის, როგორც მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლის, დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერისათვის განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი იყო ის, რაც პარლამენტში მოხდა და რაზეც „ოცნების“ დეპუტატებმაც ნიანგის ცრემლები ღვარეს.



– თქვენთვის განსაკუთრებული რა იყო?

– იმ დარბაზში, სადაც ზვიად გამსახურდიამ და მრგვალმა მაგიდამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მეც მოვაწერე ხელი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს, სპიკერის სავარძელში იჯდა იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომელსაც ოკუპირებული აქვს შენი ტერიტორიები და კიდევ განაგრძობს ოკუპაციას.

მოკლული ოთხოზორიას, სამაჩაბლოში გარდაცვლილი ბიჭებისა და, საერთოდ, რუსეთის მიერ საქართველოსთან წარმოებულ ომებში დაღუპულთა შეურაცხყოფაა ის, რაც მოხდა. ქვეყანას, რომელსაც ამის დალაგება არ შეუძლია, სამართლიანობისთვის ვერ იბრძვის, სახელმწიფოს ვერ იცავს და, კონკრეტულად, არ აქვს პერსონა ნონ გრატების სია, რუსეთიდან ვინ უნდა შემოუშვას და ვინ – არა, რა უნდა მოსთხოვო.

– გახარიამ თქვა, ვისაც დარღვეული ჰქონდა „ოკუპაციის შესახებ კანონი“, ასეთი ორი დეპუტატი არ შემოუშვეს. გავრილოვს კანონი არ ჰქონდა დარღვეული და შემოვუშვითო.

– რა დარღვევა უნდოდა. სამი დღის განმავლობაში მთელმა საქართველომ, მათ შორის, ჩასაფრებული ტელევიზიებიდან ვიცოდით, რომ ეს კაცი საქართველოს სუვერენიტეტის შემლახავი იყო.

– შემზარავი იყო გავრილოვის ნახვა სპიკერის სავარძელში, მაგრამ ზოგმა ახლა რომ შეიცხადა, იმ სავარძელში გამსახურდია იჯდაო. ის დარბაზი ორჯერ დაინგრა და სპიკერის სკამი ორჯერ დაიწვა თუ დაამტვრიეს, ერთხელ 1992 წლის დასაწყისში, მეორედ – 2012 წელს. „ოცნებამ“ რომ გაიმარჯვა, ბაქრაძემ დარბაზი დაანგრევინა, ფანჯრის რაფებიც კი დაჩეხილი იყო.

– მახსოვს.

– მისი გაკეთება სახელმწიფოს 30 მილიონი დაუჯდა. ეს არ არის უპასუხისმგებლობის საკითხი და შეურაცხმყოფელი?

– ამაზე პასუხისმგებელი არიან ის ძალები, რომლებმაც ბაქრაძის პასუხისმგებლობის საკითხი არ დააყენეს.

– თქვენმა ხელისუფლებამ ვერ მოასწრო ლუსტრაციის კანონის მიღება. დღეს კაცმა არ იცის, ვინ მოყვარეა, ვინ – მტერი და აგენტი.

– სტანდარტები არეულია. ჩვენთვის ცნობილი არ არის, ანგარიშვალდებული ვისთან არიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი, საკუთარ ქვეყანასთან თუ უცხოსთან.

ვერც ერთი ძალა ვერც ერთ დასავლურ ქვეყანაში მესამე ვადით ვერ დარჩება. რატომ არის „ოცნება“ და მისი მოკაშკაშე ლიდერი გამონაკლისი, საზოგადოებისთვის უცნობია. ესენი უნდა წავიდნენ რაც შეიძლება მშვიდობიანად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მორიგ ჩიხში შევალთ, საიდანაც გამოსავალი ძალიან რთული იქნება.

– ხელისუფლებაში მყოფი ყველა ძალა ამბობს, რომ შეძლებს ქვეყნის მართვის გაგრძელებას, მაგრამ მთავარია, ხელისუფლებიდან რაღაც ძალის გაშვებას საქართველო არ გადავაყოლოთ. საკითხი არჩევნებმა უნდა გადაწყვიტოს.

– ცხადია. ორივე ძალას იმიტომ გავემიჯნე. ორივე ძალა მოქალაქეთა კავშირის ნასხლეტებია.

– გამორიცხავთ, რომ 2020 წლის არჩევნებით „ოცნება“ ხელისუფლებაში დარჩეს?

– „ოცნებას“ ყველანაირი რესურსი ამოწურული აქვს – მორალური, ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური, მსოფლმხედველობრივი. როდესაც რესურსს ამოწურავ, მაშინ საზოგადოებაში არის კონფლიქტები და ეროვნული თანხმობა მიუღწეველია. თუ ეროვნული თანხმობა მიუღწეველია, ლეგიტიმური პროცესები თუ არ ვითარდება, ხელისუფლება ჩიხში შედის. ამ დღის წესრიგში ვართ ჩვენ.

– ისეთი მოცემულობა და ისეთი პოლიტიკური სპექტრია, რომ, შეიძლება, საზოგადოება იძულებული გახდეს და 2020 წელსაც ხმების გარკვეული რაოდენობა „ოცნებას“ მისცეს. ასეთ შედეგს გამორიცხავთ?

– 20 ივნისის შემდეგ ეგ გამორიცხულია. აქამდე კიდევ რაღაც ილუზია იყო, მაგრამ 20 ივნისის შემდეგ დამთავრებულია. მისი პოლიტიკური ველიდან გასტუმრება დროის საკითხია. მათ ისტორიამაც გამოუტანა განაჩენი და საზოგადოებამაც. როდესაც ორივე გამოგიტანს განაჩენს, მერე სკამზე მობღაუჭება ახალ კრიმინალურ პროცესებში შესვლას იწვევს.

– თუ ივანიშვილი შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს მოძებნის?

– თუ ივანიშვილს თავის გადარჩენა უნდა, გარკვეული ნაბიჯები უნდა გადადგას. ბიძინა ივანიშვილმა უნდა მიიღოს პროპორციული საარჩევნო კანონი და ჩაატაროს კარგი არჩევნები, სადაც პოლიტიკური მსოფლმხედველობების შეჯიბრება უნდა გაიმართოს, ადგილი უნდა დაეთმოს ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლის სხვადასხვა ვარიანტს. სხვა გამოსავალი არ არის.

– იმ პოლიტიკური სპექტრის პირობებში, სადაც დომინირებს ნაცმოძრაობა, მისი განაყოფები და მათი სატელიტები, ეს შესაძლებელია?

– იმიტომ დომინირებენ, რომ „ოცნება“ აჯეჯილებს, სხვა ძალას პოლიტიკურ მოედანზე არ უშვებს. ყველაფერი კოორდინატორის ფულსა და მოსყიდულ ადამიანებზეა აგებული. პოლიტიკური კონკურენცია არ არის, ტელევიზიები, ფინანსები, მაჟორიტარები უზრუნველყოფენ მათ წარმატებას. პოლიტიკური მსოფლმხედველობის მოდელები თუ არ იქნა განხილული, აქ თუ არ მოხდა შეჯიბრება და საუკეთესო ვარიანტის შერჩევა, მაშინ ამ ქვეყანას მომავალი არ აქვს.

– რომელი პოლიტიკური მსოფლმხედველობების შეჯიბრება უნდა გაიმართოს და ვის შორის, პოლიტიკურ ასპარეზზე ვინ არიან, ხომ ხედავთ?

– რასაც ვუყურებთ, მათი იმედი არ შეიძლება გვქონდეს. გარდამავალი მთავრობა უნდა შეიქმნას. ეს მთავრობა უნდა გაისტუმრო და ჭეშმარიტი არჩევნებისთვის უნდა მოამზადო ქვეყანა.

– რომელი გარდამავალი მთავრობა იქნება, რომელშიც იქნებიან სააკაშვილი და ნაცები, რესპუბლიკელები და შეიძლება – ოქრუაშვილიც. ყველა ძველი და წაკითხული წიგნია.

– ეს საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში კეთდება, ჩვენთან რატომ არ უნდა გაკეთდეს.

რუსეთში ექსპორტის ზრდით შეგვიძლია, ცოტათი უკეთ ვიყოთ, ევროკავშირის ბაზრით კი შეგვიძლია, გავმდიდრდეთ!

ეკონომისტი და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარი ბესო ნამჩავაძე სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს. ის ეხმაურება კრემლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ფრენების შეჩერებასთან დაკავშირებით.

– მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლიდან რუსეთმა ბაზარი გაგვიხსნა, რათა დღეს ჩვენ წინააღმდეგ სადამსჯელო ბერკეტები ჰქონოდა, ევროკავშირში თითქმის 2-ჯერ მეტი ღირებულების საქონელი გაგვაქვს!

რუსეთის ბაზარი არის 1.6 ტრილიონი დოლარი, ევროკავშირის კი 12-ჯერ დიდი, 19 ტრილიონი დოლარი. რუსეთში დიდი ხანია იცნობენ ქართულ ნაწარმს, ევროკავშირში კი ახლა იკიდებს ფეხს და საკმაოდ წარმატებით. ევროკავშირი ბაზრის სანაცვლოდ ტერიტორიებს არ გვართმევს.

„არ ჩამოვლენ რუსი ტურისტები, ჩამოვლენ სხვები“

ნონა ცაბაძე

რა შედეგების მომტანი შეიძლება იყოს რუსეთის მიერ დაწესებული აკრძალვები? რა ზარალს ნახავს ჩვენი ეკონომიკა? ჩავარდება თუ არა ტურისტული სეზონი? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ექსპერტები ეკონომიკურ საკითხებში პაატა შეშელიძე და ლია ელიავა პასუხობენ.

პაატა შეშელიძე:

– ლაპარაკი იმაზე, თუ რა გვეშველება, არასწორია. რუსეთიდან ფრენების აკრძალვის შედეგი იქნება ის, რომ სხვა ბაზრები და მიმართულებები განვითარდება. პუტინმა ფრენები საკუთარ მოქალაქეებს აუკრძალა, მაგრამ, თუ რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში ჩამოსვლა ენდომებათ, ამისთვის სხვა გზებიც არსებობს.

– მოუწოდებენ საკუთარ მოქალაქეებს, რომ დატოვონ ჩვენი ქვეყანა.

– მე არა მგონია, რომ პუტინის ბრძანებას ყველა შეასრულებს და ამას გააკეთებს. მათ ამ ქვეყნიდან არავინ აგდებს. მოუნდებათ, დარჩებიან, არადა, წავლენ. ვისაც სურვილი ექნება, ის მაინც იმგზავრებს, უბრალოდ, სხვა მიმართულებას აირჩევს. არასწორია იმაზე საუბარი, რომ ახლა რა გვეშველება. გვეშველება. ამ პროცესში მნიშვნელოვანი იქნება ის, რომ ყველა მიხვდება სხვა ბაზრებზე მუშაობის, სხვა კულტურის არჩევისა და საკუთარი მომსახურების დახვეწის აუცილებლობას.

– რამდენად გამოუცხადებს პუტინს პროტესტს საკუთარი მოსახლეობა? ფიქრობთ, რომ ისინი მაინც ჩამოვლენ ჩვენს ქვეყანაში?

– ვისაც სურვილი ექნება, ის აუცილებლად ჩამოვა. როცა შეუძლიათ, ასე ახლოს დაისვენონ, თანაც იაფად ჩვენს ქვეყანაში, მათი არჩევანი არ არის დიდი და ამიტომაც არიან დაინტერესებული ამ მგზავრობით, მით უმეტეს, საკუთარ ენაზე ჩვენს ქვეყანაში თავისუფლად საუბრობენ, ყველას აგებინებენ, რა უნდათ და უხვად გვაქვს ის, რაც მათ აინტერესებთ – მზე, მთა, წყალი და გემრიელი სასმელ-საჭმელი.

საქართველოს კი არ გამოუცხადებია ბლოკადა, იმათ საკუთარ თავს გამოუცხადეს. აქ რუსეთის მოქალაქეები თავისუფლად სუნთქავდნენ, თავისუფლად აკრიტიკებდნენ საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტსაც და პუტინს კიდევ ერთი თავისუფალი ფანჯრის დაკეტვა მოუნდა საკუთარი ხალხისთვის. სულ ეს არის.

– ანუ ეს განგაში, რომ ვაი, რა გვეშველება, ხელოვნურად არის შექმნილი?

– 10 წლის წინ საერთოდ ტოტალური ემბარგო გვქონდა და არაფერი საგანგაშო არ მომხდარა. ახლა რა დაგვემართება ასეთი?! ორი რეისის გაუქმებაზეა ლაპარაკი. ეს ყველაფერი შეიძლება სხვანაირად მოგვარდეს. თუ მოისურვებენ რუსი ტურისტები, ივლიან მესამე ქვეყნის გავლით და ეს არ იქნება ბევრად უფრო ძვირი.

– ჩვენს ეკონომიკას საფრთხე არ ემუქრება? არც ტურისტული სეზონი ჩაგვივარდება?

– ისეთი გავლენა არ ექნება, როგორსაც ისინი იმედოვნებენ. საქართველოს ტურიზმში მთელ რუსულ ბაზარს 18% უკავია. ფრენების აკრძალვა კი არ ნიშნავს, რომ ეს მაჩვენებელი შეიცვლება. თუ რაიმე დეფიციტი წარმოიქმნება, ჩვენ სხვა დაინტერესებული მხარე შეგვიძლია მოვიწვიოთ. შესაძლოა, ეს დეფიციტი არც წარმოიქმნას, წინასწარ ამის თქმა რთულია. თუმცა ლოგიკა, რომ, არიქა, მთლიანად შეიცვლება სურათი, არასწორია. ჩვენ საზღვარს არ ვკეტავთ, ამიტომ, თუ ადამიანს ჩამოსვლა უნდა, ჩამოვა.

– რუსეთის საპასუხოდ მსოფლიომ საკმაოდ კარგი კამპანია წამოიწყო. ამაზე რას იტყვით?

– რა თქმა უნდა, ასეთ სიტუაციაში ყველა დაიწყებს გამოსავალზე ფიქრს და დაიწყებენ იმაზე ფიქრს, როგორ შეიძლება ამ სრულიად უგუნური შეზღუდვის გვერდის ავლა. საქართველოს ომის დროსაც კი არ შეუწყვეტია რუსებისთვის აქ ჩამოსვლა.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ლია ელიავა** სხვაგვარად ფიქრობს:

– ჩემი ღრმა რწმენითა და ეკონომიკური გათვლებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორის ფაქტობრივი ემბარგო ჯერ ტურისტებზე და შემდეგ ამას მოჰყვება ალბათ სავაჭრო საქონელიც, საქართველოს ეკონომიკისთვის იქნება ძალიან სერიოზული დარტყმა.

– რა თვალსაზრისით?

– ტურისტების ნაკადის შეწყვეტა რუსეთიდან დაეტყობა არა მარტო ტურისტების მომსახურების სფეროსა და ამაში ჩართული მოსახლეობის კეთილდღეობას, არამედ ეკონომიკაში უცხოური ვალუტის შემოდინების რაოდენობასაც. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ლარის კურსის ძალიან სერიოზული რყევები.

საქართველოს ტურისტული ბიზნესი მეტწილად დამოკიდებულია საბანკო სესხებზე. შემოსავლების შემცირების შემთხვევაში, საბანკო სესხების უკან დაბრუნება იქნება პრობლემატური და გაიზრდება დავალიანებების მოცულობა. შესაბამისად, გაიზრდება მოსახლეობაზე ფინანსური წნეხი. ეს რაც შეეხება ტურისტებს.

– სხვა რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას?

– თუ ასე გაგრძელდა პროცესები, თავმოყვარეობა აქვთ როგორც ქართველებს, ასევე – სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, რუსეთმა აკრძალოს საქართველოდან ექსპორტი თავის ტერიტორიაზე. ესეც შექმნის ადგილობრივი წარმოებისთვის პრობლემებს, რაც აისახება ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ანუ უახლოესი პარტნიორის, ყველაზე მჭიდრო საექსპორტო და საიმპორტო პარტნიორის ჩვენ მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ჩვენისთანა სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის იქნება დამანგრეველი.

– რა ზარალს ნახავს ჩვენი ეკონომიკა?

– ციფრობრივად ჯერ არ დავმჯდარვარ და არ დამითვლია. ამაზე ცოტა ადრეა საუბარი. ვნახოთ ეკონომიკური შედეგები, თუმცა, სავარაუდოდ, მხოლოდ ვალუტის შემოდინების თვალსაზრისით ტურისტების არც ისე მდიდარი კატეგორია შემოდიოდა, მაგრამ სადღაც ნახევარ მილიარდამდე ლარი მაინც დააკლდება საქართველოს, ხოლო ის ზარალი, რომელსაც ნახავს ტურისტული სფერო, რა თქმა უნდა იქნება, ბევრად უფრო მეტი.

– საოჯახო ტიპის სასტუმროს მეპატრონეები უკვე საუბრობენ იმაზე, რომ მათი სასტუმროები რუსი ტურისტებისგან დაიცალა და ბევრგან ჯავშანიც გაუქმებულია.

– მე სიღნაღში ვესაუბრე სასტუმროს მეპატრონეებს და ყველანი ერთხმად ამბობენ, რომ რუსი ტურისტები ბევრად სჯობიან სხვა ქვეყნების ტურისტებს გადახდისუნარიანობითაც და სხვა თვალსაზრისითაც. რუსი ტურისტით ყველა კმაყოფილი იყო არა მარტო ზღვის სანაპიროზე, არამედ შუა საქართველოშიც.

როდესაც ვერ ასხვავებ ერთმანეთისგან რუს ხალხსა და რუს მთავრობას, ეს ყოველთვის იწვევს ძალიან მძიმე შედეგს. ჩვენ ამ შედეგს აუცილებლად ვიწვნევთ.

გელა ბეჟუაშვილი: „რუსეთს საქართველოს განვითარების შეჩერება არ გამოუვა!“

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის არააღმასრულებელი დირექტორი გელა ბეჟუაშვილი Facebook გვერდზე პოსტს აქვეყნებს და საქართველოში ფრენების შეჩერებასთან დაკავშირებით კრემლის გადაწყვეტილებას ეხმაურება.

– არა ოკუპაციას! რუსეთი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას თავის დანაშაულებრივ ქმედებებზე ყველგან და ყველასგან! ეს ჩვენი გასაკეთებელია. ერთად დავდგეთ, გავაძლიეროთ ქვეყანა. ძალა ერთობაშია! რუსეთს არ გამოუვა საქართველოს განვითარების შეჩერება და ჩვენი ევროპული არჩევანის შეცვლა. Russians No Pasaran! – წერს ბეჟუაშვილი.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საქართველოში მართლმადიდებლური საპარლამენტო ასამბლეის ჩაშლისა და რუსი დეპუტატების მიერ საქართველოს დატოვების შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება: გააჩეროს ფრენები საქართველოს მიმართულებით. გადაწყვეტილება ძალაში 8 ივლისიდან შევა. ამასთან, პუტინმა გასცა ბრძანება, საქართველოში მყოფი რუსი მოქალაქეების დროული და უსაფრთხო დაბრუნება მოხდეს სამშობლოში.

ამერიკელი დიპლომატი: „ქართველი ხალხი ცხვრის ფარა არ არის!“

თბილისში გამართულ საპროტესტო აქციასა და დაპირისპირებაზე შეფასებები აშშ-ში რეგიონზე მომუშავე მიმომხილველებმა და თბილისის პარტნიორებმა გააკეთეს. ამის შესახებ ამერიკის ხმა წერს.

– პოლიტიკურ შეფასებას არ ვაკეთებ, ჩვენი საქმე არაა ქართული ოცნება იქნება სათავეში, თუ ნაციონალური მოძრაობა. ეს ქართველებმა უნდა გადაწყვიტონ, მაგრამ ქართველი ხალხი ცხვრის ფარა არაა. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში ძლიერია. ვეთანხმები სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ ყველამ უნდა შეიკავოს თავი, მაგრამ პასუხისმგებლობა არაა თანაბარი. მთავრობას გარკვეული პასუხისმგებლობა აქვს. ჩემი საქმე არ არის ვთქვა, ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდეს თუ არა, ეს საქართველომ თავად უნდა გადაწყვიტოს.

რუსები ამბობენ, რომ ამერიკელები ვიყავით „ვარდების რევოლუციის“ უკან – ეს სრული სისულელეა. ვფიქრობ ხალხი, არა მარტო ქართველები, არამედ უკრაინელები, ქართველები თუ სხვები, მათი მთავრობისგან მოითხოვენ, რომ მათ გულისხმიერებით მოეკიდონ. საქართველოს მთავრობასა და ბატონ ივანიშვილს ეს უნდა ახსოვდეს. ავტორიტარები ახერხებენ გადარჩენას იქამდე, სანამ ერთ დღეს ეს არ შეიცვლება, – ამბობს დიპლომატი და „ატლანტიკური საბჭოს მკვლევარი დენ ფრიდი.

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი საქართველოში უილიამ კორტნი კი ამბობს, რომ მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მასპინძლობა უჩვეულო გადაწყვეტილება იყო და, ამასთანავე, მთავრობამ უნდა გააცნობიეროს, რომ დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გადამეტება მოხდა.

Georgian Airways და MyWay Airlines რუსეთსა და საქართველოს შორის ფრენებს აგრძელებენ

ქართული ავიაკომპანიაGeorgian Airwaysაგრძელებს პირდაპირი რეისების შესრულებას რუსეთსა და საქართველოს შორის. ბილეთები ამჟამად იყიდება ჩვეულებრივ რეჟიმში, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

– ახალი აკრძალვა შეეხო რუსულ კომპანიებს, შესაბამისად, ჩვენ ვაგრძელებთ ფრენებს დადგენილი განრიგის მიხედვით. ბილეთები იყიდება ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე და, თუ იქნება რაიმე ცვლილებები, გავაკეთებთ ამასთან დაკავშირებით განმარტებას. თუმცა, ამ ეტაპზე არანაირი ცვლილება არ არის, – ამბობენGeorgian Airways-ში.

კიდევ ერთი ქართული ავიაკომპანია MyWay Airlines, რომელიც დაფრინავს თბილისსა და მოსკოვს შორის, ბილეთების გაყიდვას განაგრძობს.

კომერსანტი

საქართველოში საბანკო ბარათების რაოდენობა 14,1%-ით შემცირდა

საქართველოში 2019 წლის მაისში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საბანკო ბარათების რაოდენობა, ჯამში, 14,1%-ით შემცირდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2019 წლის მაისში საქართველოს ბაზარზე მიმოქცევაში სულ 7 398 914 საკრედიტო და სადებეტო ბარათი იყო, 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში კი – 8.613.730 ერთეული.

სებ-ის მონაცემებითვე, კონკრეტულად საკრედიტო ბარათების რაოდენობა 30%-ით არის შემცირებული. კერძოდ, 2019 წლის მაისში მიმოქცევაში სულ 673.808 საკრედიტო ბარათი იყო, მაშინ როდესაც გასული წლის ანალოგიურ პეროდში, საკრედიტო ბარათების რაოდენობა 962.060 ერთეულს შეადგენდა.

რაც შეეხება სადებეტო ბარათებს, აქ 12,1%-ანი კლება დაფიქსირდა. თუ 2018 წლის მაისში 7 651 670 სადებეტო ბარათი იყო მომოქცევაში, მიმდინარე წლის მაისში 6. 725.106 ერთეული შეადგინა.

რუსეთის ბაზარზე ექსპორტის ზრდით შეგვიძლია ცოტათი უკეთ ვიყოთ, ევროკავშირის ბაზრით კი შეგვიძლია გავმდიდრდეთ, საბოლოოდ დავამარცხოთ სიღარიბე! ვისწავლოთ, ვიშრომოთ და ამას ძალიან მალე მივაღწევთ! #ძალაევროპაშია“,– წერს ექსპერტი და პოსტს თან ურთავს რუსეთსა და ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის სტატისტიკას.

გაატარე ზაფხული საქართველოში — მოქალაქეები საქართველოს ტურიზმის მხარდასაჭერად ერთიანდებიან

მოქალაქეებმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ საჯარო ჯგუფი შექმნეს, რომლითაც საქართველოს ტურიზმის მხარდამჭერი კამპანიის დაწყება და ქვეყნის პოპულარიზაცია სურთ. ინიციატივა მას შემდეგ გაჟღერდა, რაც რუსეთის პრეზიდენტმა რუსულ ავიაკომპანიებს საქართველოსაკენ ფრენა აუკრძალა.

– ვეხმიანებით მიმდინარე მოვლენებს, რაც უკავშირდება ქვეყნის ტურისტული იმიჯის საფრთხის ქვეშ დაყენებას, და გვსურს მოგიწოდოთ დავიწყოთ აქტიური სოციალური კამპანია გაატარე ზაფხული საქართველოში / Spend your summer in Georgia. კამპანიის მიზანია, ხელი შევუწყოთ ქვეყნის პოპულარიზაციას, მოვიზიდოთ ტურისტები და დავანახოთ მსოფლიოს ქვეყნის რეალური ტურისტული პოტენციალი. კამპანიის განმავლობაში აქტიურად გავაზიაროთ ქვეყნის საიმიჯო ვიდე რგოლები და ბლოგ-პოსტები #spendyoursummeringeorgia“, – აცხადებენ ადმინისტრატორები.

კამპანიას მასშტაბური სახე აქვს, ჯგუფში უკვე 40.000-მდე ადამიანია გაწევრიანებული. ისინი ტურისტებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სრულიად უფასოდ ეპატიჟებიან.

70 წლის გიორგი წიქარიძე: „მოლოტოვის კოქტეილი არ მქონია, სახლში მქონდა ბოთლებში ბენზინი ჩამოსხმული“



რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციაზე გამოყენების მიზნით მოლოტოვის კოქტეილების საქმეზე დაკავებულ 70 წლის გიორგი წიქარიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, რაც ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობას და მასში მონაწილეობას გულისხმობს, ე.წ. მოლოტოვის კოქტეილების დამზადების ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

გამოძიების ინფორმაციით, ჩატარდა ჩხრეკა, რომლის დროსაც გიორგი წიქრიძის სახლის ეზოდან კუსტარული წესით დამზადებული მოლოტოვის კოქტეილის 12 ბოთლი და მისი დამზადებისთვის საჭირო მასალები ამოიღეს.

შსს-ს ცნობით, პოლიციამ წიქარიძე იმ დროს დააკავა, როდესაც იგი აღნიშნული ასაფეთქებელი მასალების პარლამენტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციაზე გამოყენებას გეგმავდა.

70 წლის მამაკაცის ადვოკატ მარიკა ჯანიკაშვილის განცხადებით, გოჩა კოკაია, რომელიც საქმეში მთავარი მოწმეა, სულ მცირე, მძიმე დანაშაულის დაფარვისთვის პასუხისგებაში უნდა მისცენ.

ამასთან, მარიკა ჯანიკაშვილის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს ბოთლებში ბენზინი ჰქონდა, თუმცა არა მოლოტოვის კოქტეილი.

თავის მხრივ, სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა გიორგი წიქარიძემ განაცხადა, რომ სახლში ნამდვილად ჰქონდა ბოთლებში ჩამოსხმული ბენზინი, თუმცა იმის გაკეთებას, რაც ბრალად ედება, არასდროს განიზრახავდა.

– კოქტეილს ავიღებ, მოვიკიდებ ზურგზე და ჯიბეებში ჩავიწყობ და ჩავალ, ეგეთი რამე არ ყოფილა იქ. ახლა აქ მიდის პოლიტიკური თამაშები, მე არ ვარ პოლიტიკოსი, არც იქით, არც აქეთ, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ უნდა, რომ მოიცილოს „ნაციონალები“ და ოპონენტები... მეც ასე მომივიდა. ბენზინკალონკაში ვმუშაობდი და სახლში მქონდა ბოთლებში ჩამოსხმული, ჩვეულებრივი ბენზინია, – განაცხადა ბრალდებულმა.

ამასთან, ადვოკატის ინფორმაციით, გოჩა კოკაიასა და გიორგი წიქარიძეს შორის სატელეფონო საუბარი ნამდვილად შედგა.

– კოკაიასა და გიორგი წიქარიძეს შორის საუბარი ნამდვილად შედგა. კოკაია ვალდებული იყო, რომ ამის შესახებ მაშინვე განეცხადებინა გამოძიებისათვის, – აღნიშნა მარიკა ჯანიკაშვილმა.

მან ჟურნალისტებს სატელეფონო საუბრის შინაარსის შესახებაც უამბო.

– ასეთი მოცემულობა გვაქვს: გიორგი ეუბნება, რომ ასე ყურება არ შეიძლება და მე ახლა გამზადებული მაქვს და მივდივარ პარლამენტის წინ. პასუხი არის: ჰო, დღეს უკვე არა, ხვალ... კითხვა მაქვს კოკაიასთან. კითხვა ხომ უნდა გაგიჩნდეს, რა გაქვს გამზადებული, რატომ გაქვს? თუ გაიგე, რომ მას ეს აქვს გამზადებული, შენ მიდიხარ და სახლში იძინებ? – აღნიშნა მარიკა ჯანიკაშვილმა.

საქმის პროკურორის, ვაჟა თოდუას, განცხადებით, გამოძიება მტკიცებულებათა მოპოვების პროცესშია. მისივე თქმით, თუ ვინმეს, მათ შორის მოწმის, გოჩა კოკაიას, დანაშაული გამოიკვეთება, აუცილებლად დადგება პასუხისმგებლობის საკითხიც.

– როგორც გამოძიებით დადგენილია, ბრალდებულმა დაამზადა აღნიშნული ნივთიერი მტკიცებულებები, თუმცა მისი გადატანა ვერ მოახერხა, ვინაიდან გამოძიების მწარმოებელი ორგანოს მიერ იქნა ამოღებული.

მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარეს მოსაპოვებელი აქვს ასევე სხვა მტკიცებულებები, რომელთა შეკრების შემთხვევაში, ბუნებრივია, ბრალდების მხარე სხვა პირთა პასუხისმგებლობის საკითხებზე იმსჯელებს. კოკაია არის მოწმე, რომელიც ადასტურებს საქმის გარემოებებს, თუ გამოიკვეთება, რომ მას ჩადენილი აქვს რაიმე სახის დანაშაული, მისი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება, – განაცხადა ვაჟა თოდუამ.

სასამართლოს მომდევნო სხდომა აგვისტოში გაიმართება.

ისანში მიკროავტობუსის მძღოლი მოკლეს

22 ივნისს ისანში, მიკროავტობუსების გაჩერებაზე. შუახნის მამაკაცი მოკლეს.

გარდაცვლილი მიკროავტობუსის მძღოლი იყო. როგორც თვითმხილველები ყვებიან, დამნაშავემ მსხვერპლს ჭრილობები ცივი იარაღით მიაყენა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, დაკავებულია ერთი პირი.

მძღოლი საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

გამოძიება სსკ-ის 19-108 მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს, თუმცა, შსს-ს ცნობით, მუხლი გადაკვალიფიცირდება.

შსს-მ 20-21 ივნისს აქციისას სამართალდამცავთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების შესწავლა დაიწყო



რუსთაველის გამზირზე 20-21 ივნისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ცალკეულ სამართალდამცავთა მიერ უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების (მათ შორის ჟურნალისტების მიმართ) ფაქტების შესწავლა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო.

უწყების ინფორმაციით, აღნიშნული სამართალდამცავები აქციების დროს მართლწესრიგის დაცვასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში აღარ მონაწილეობენ

„შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს პარლამენტის წინ შეკრებილ აქციის მონაწილეებს, პოლიტიკურ პარტიებს და მათ მხარდამჭერებს არ გასცდნენ გამოხატვის თავისუფლების კანონით განსაზღვრულ ფარგლებს, დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი და აზრი გამოხატონ კანონით დაშვებული მშვიდობიანი ფორმით.

აქვე, საზოგადოებას ვაცნობებთ, რომ 20 ივნისის აქციის მსვლელობისას ადმინისტრაციული წესით დაკავებულთაგან 121 პირს შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა, ხოლო დანარჩენი გათავისუფლდა – შეეფარდა ადმინისტრაციული ჯარიმა ან სიტყვიერი შენიშვნა. ზოგიერთი ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მიმართ საქმის განხილვა გადაიდო.

ასევე, გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ 20 ივნისის აქციისას ცალკეულ სამართალდამცავთა მიერ უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების (მათ შორის ჟურნალისტების მიმართ) ფაქტების შესწავლა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ უკვე დაიწყო. აღნიშნული სამართალდამცავები აქციების დროს მართლწესრიგის დაცვასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში აღარ მონაწილეობენ“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ბათუმთან მოპედი სატვირთოს შეეჯახა

50 წლის მამაკაცი დაშავდა

ბათუმი-მახინჯაურის მონაკვეთზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 50 წლამდე მამაკაცი დაშავდა.

იგი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

წინასწარი ინფორმაციით, მამაკაცი კონტაქტური იყო და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ერთმანეთს მოპედი და სატვირთო ავტომობილი შეეჯახნენ.

ავარიის გამო სატრანსპორტო მოძრაობა აღნიშნულ მონაკვეთზე რამდენიმე წუთი შეზღუდული იყო.

ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 276-ე მუხლით დაიწყო, რომელი სატრანსპორტო მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს.

ავჭალაში მანქანა გაჩერებულ სატვირთოს დაეჯახა

1 ქალი დაიღუპა

ავჭალაში მსუბუქი ავტომობილი მცირე ზომის სატვირთოს შეეჯახა, რომელიც გაჩერებული იყო.

უბედურ შემთხვევას ავტომობილის მგზავრი ქალი ემსხვერპლა, მსუბუქ ავტომანქანაში მყოფი ბავშვი კი დაშავდა. სასწრაფო დახმარებამ ის კლინიკაში გადაიყვანა.

ავარიისას დაზიანება მიიღო ერთმა კაცმაც.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

გარდაბანში ნეფე-პატარძლის მანქანა ტრაილერს შეეჯახა

4 ადამიანი დაშავდა

22 ივნისს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ სააკაძესთან, ქორწილის ესკორტი ავარიაში მოყვა.

ერთმანეთს 3 ავტომობილი და ტრაილერი შეეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა, რომლებიც კონტაქტურ მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დაშავებულებს შორის ნეფე-პატარძალია.

ტრაილერს თავდაპირველად ის ავტომობილი შეეჯახა, რომელშიც ნეფე-პატარძალი იჯდა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ხობისწყალში მეცხრე კლასის მოსწავლე დაიხრჩო

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ხორგაში, მდინარე ხობისწყალში მეცხრე კლასის მოსწავლე დაიხრჩო.

ერთ-ერთი ვერსიით, ბიჭს ბანაობისას გული გაუჩერდა.

მისი ცხედარი ექსპერტიზაზეა გადასვენებული.

შემთხვევა გუშინ, 23 ივნისს, მოხდა. მომხდარზე გამოძიება 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს.

მერაბ კვირიკაშვილის საქმის განხილვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაგრძელდება

მორაგბე მერაბ კვირიკაშვილის საქმის განხილვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაგრძელდება.

როგორც საქმის პროკურორმა ვალერი კუჭიხიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, საქალაქო სასამართლოს განაჩენი რამდენიმე დღის წინ ჩაბარდათ. მისი თქმით, მათი სარჩელი სააპელაციოში უახლოეს დღეებში შევა.

– სასამართლოსგან განაჩენი მხოლოდ რამდენიმე დღის წინ ჩაგვბარდა, მიუხედავად ამისა, ვმუშაობთ და აუცილებლად მივმართავთ სააპელაციო სასამართლოს და პროცესი გაგრძელდება, – განაცხადა ვალერი კუჭუხიძემ.

30 მაისს მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის პროკურატურას ერთთვიანი ვადა ჰქონდა.

პროცესების სააპელაციო სასამართლოში გაგრძელებას ელოდება მერაბ კვირიკაშვილის ადვოკატიც. მისი თქმით, ჰქონდა მოლოდინი, რომ ბრალდების მხარე საქალაქო სასამართლოს განაჩენს გაასაჩივრებდა. შეგახსენებთ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, მურთაზ კაპანაძემ, თითქმის ოთხწლიანი პროცესის შემდეგ მორაგბე უდანაშაულოდ ცნო. საქმე ეხება 2016 წელს მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას, რასაც 4 ადამიანი ემსხვერპლა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ტრამპმა ირანის დაბომბვა რაკეტების გაშვებამდე 10 წუთით ადრე გადაიფიქრა

თვითმფრინავები უკვე ჰაერში იყვნენ

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დაადასტურა, რომ რაკეტების გაშვებამდე 10 წუთით ადრე ირანის სამხედრო ობიექტების დაბომბვის ბრძანება გააუქმა.

მისივე თქმით, ეს ადამიანების დაღუპვის თავიდან ასაცილებლად გააკეთა.

ტრამპის თქმით, ის კვლავ მზად არის ირანთან მოლაპარაკებებისთვის.

ირანის სამი სამხედრო ობიექტის (რადარები და რაკეტების გასაშვები დანადგარები) დაბომბვის გეგმა მომზადდა ირანის მიერ ამერიკული უპილოტო თვითმფრინავის ჩამოგდების პასუხად. საბრძოლო პოზიციები ჰქონდათ დაკავებული ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემებს სპარსეთის ყურეში. თვითმფრინავები

ავიამზიდებიდან და აშშ-ის ბაზებიდან რეგიონში უკვე ჰაერში იყვნენ და სამიზნეებს უახლოვდებოდნენ.

საპასუხო თავდასხმის მომხრე იყო ტრამპის მთელი გუნდი: სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო, მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში ჯონ ბოლტონი და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი ჯინა ჰასპელი.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, ტრამპს თავდასხმა აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლებმა გადააფიქრებინეს.

მარკ ესპერი აშშ-ის ახალი თავდაცვის მინისტრი გახდა

აშშ-ს ახალი თავდაცვის მინისტრი ჰყავს. პრეზიდენტ ტრამპის განკარგულებით, ამ თანამდებობაზე მარკ ესპერი დაინიშნა. მან პატრიკ შენაჰენი შეცვალა.

მარკ ესპერი 1964 წელს დაიბადა. დაამთავრა აშშ-ის სამხედრო აკადემია და ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული სახელმწიფო მართვის სკოლა. იყო აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცერი. მონაწილეობდა ერაყის ომში.

2002-2004 წლებში აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანაშემწე იყო. შემდეგ სენატში დაბრუნდა. 2008-2010 წლებში იყო აშშ-ის სავაჭრო პალატის ვიცეპრეზიდენტი ევროპისა და ევრაზიის საკითხებში.

2002-052017 წელს ტრამპმა ესპერი არმიის მინისტრად დანიშნა. 2019 წელს ესპერი თავდაცვის მინისტრი გახდა.

სტამბოლის ფაბრიკაში ხანძარი გაჩნდა

4 ადამიანი დაიღუპა

სტამბოლის რაიონ ბიუკჩეკმეჯში, ერთ-ერთ ფაბრიკაში ხანძარი გაჩნდა. დაიღუპა 4 ადამიანი და დაშავდა – 6.

მეხანძრეებმა გადაარჩინეს 20 ადამიანი, რომლებიც ბლოკირებული იყვნენ შენობის სახურავზე. ექვსი დაშავებულიდან ორი მძიმე მდგომარეობაშია და საავადმყოფოში გადაიყვანეს. საავადმყოფოში მოათავსეს ოთხი დაშავებული მეხანძრე. დაღუპულები და საავადმყოფოში გადაყვანილები უცხოელები არიან.

ხანძრის მიზეზი უცნობია. მიმდინარეობს გამოძიება.

ფაბრიკის 15 თანამშრომელი ჩვენების მისაცემად პოლიციაში გადაიყვანეს.

აშშ-მ ნიკარაგუის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ სანქციები შემოიღო

აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ ნიკარაგუის მთავრობის 4 წევრის მიმართ სანქციები შემოიღო. ყველა მათგანი პრეზიდენტ ორტეგასთან დაახლოებული პირია.

მიზეზი ნიკარაგუაში გაბატონებული ტოტალიტარული რეჟიმი, ადამიანის უფლებების დარღვევა და რეპრესიებია.

ნიკარაგუა ერთ-ერთი სახელმწიფოა, რომელმაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

რუს კოსმონავტებს დედის გინებას აუკრძალავენ



რუსებს არყის სმა და დედის გინება უყვართ. გამონაკლისს არც კოსმონავტები წარმოადგენენ. მათი უმრავლესობა საშინელი ლოთია, დედის გინებას კი გამარჯობის მაგივრად ხმარობენ.

როსკოსმოსმა კოსმონავტების ქცევის კოდექსი შეიმუშავა. მასში გათვალისწინებულია სასჯელი დედის გინების გამო.

სხვაგვარად რუს კოსმონავტებს უწმაწური ლექსიკა ვერ მოაშლევინეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

დაკარგული ინდოელი ილუზიონისტი დაღუპული იპოვეს

ნაპოვნია ცნობილი ინდოელი ილუზიონისტის ჩანჩალა ლახირის ცხედარი, რომელიც მას შემდეგ გაუჩინარდა, რაც ჰარი გუდინის ცნობილი ილეთის გამეორებას შეეცადა.

მისი სხეული მდინარის ნაპირზე იმ ადგილიდან, სადაც ის ილეთის შესასრულებლად წყალში ჩაეშვა, ერთ კილომეტრში გამოირიყა. მისი ამოცნობა იმავე საღამოს შედგა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ლახირი ჯაჭვებით შეკრეს და მდინარე განგის ერთ-ერთ შენაკადში, მდინარე ხუგლიში ჩაუშვეს. მას დამოუკიდებლად უნდა გაეთავისუფლებინა თავი და წყლიდან ამოეყვინთა. მრავალრიცხოვანი მაყურებლების თვალწინ ილუზიონისტი წყლის სიღრმეში გაუჩინარდა და აღარც გამოჩენილა. დაკარგულის ძებნა იმავე დღეს დაიწყო. დაბინდებამდე პოლიცია და მყვინთავები წარუმატებლად ეძებდნენ ლახირის.

ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილი დათვის ბელი მოკლეს

ამერიკის ორეგონის შტატის ვაშინგტონის ოლქში ხელისუფლებამ შავი დათვის ბელი იმის გამო მოკლა, რომ ის მეტისმეტად კეთილგანწყობილი იყო ადამიანების მიმართ.

პარკ სკოგინს-ველის წარმომადგენლებმა ორი სატელეფონო შეტყობინება მიიღეს დამთვალიერებლებისგან შავ დათვის ბელთან შეხვედრის თაობაზე. შტატის ხელისუფლებამ ტურისტები გააფრთხილა, რომ ისინი შეცდომაში არ შეეყვანა ცხოველის უწყინარ გამომეტყველებასა და ქცევას, არ მიახლოებოდნენ და სელფის გადაღება არ ეცადათ. ამის მიუხედავად, რამდენიმე ადამიანმა მასთან სურათი მაინც გადაიღო და საჭმელიც კი დაუტოვა.

მოგვიანებით ადგილზე მივიდნენ ბიოლოგები კურტ ლაისენსი და დუგ კიტჩენი. მათ დათვის ბელი უნდა დაეჭირათ და სხვა ადგილას გადაეყვანათ. მათ 45- კილოგრამიანი ცხოველი იმ დროს ნახეს, როდესაც ის ტურისტების მიერ დატოვებულ სიმინდისა და მზესუმზირის მარცვლებს შეექცეოდა. ცხოველს ბიოლოგების შეეშინდა და გაიქცა. მას გამოეკიდნენ, დაეწივნენ და მოკლეს.

– ეს არის იმის კლასიკური მაგალითი, თუ რატომ ვეხვეწებით ადამიანებს, არ აჭამონ დათვებს. ცხოველების გამოკვება ძალიან ცუდი იდეაა. მათ საკუთარ თავზე ზრუნვა თავადვე შეუძლიათ, – აღნიშნა ლაისენსმა. მან იქვე განმარტა, რომ საკმარისია, ადამიანმა ერთხელ მისცეს დათვს საკვები, რომ ამის შემდეგ ის ცხოველისთვის საკვებთან ასოცირდება და სრულიად შესაძლებელია, რომ მომავალში ის მათ თავს დაესხას.

ცხვრებმა თანამოძმის გადასარჩენად გზა გადაკეტეს

ჩინეთის სინცზიან-უიგურსკის ავტონომიური რაიონის ქალაქ აკსუში ცხვრის ფარამ თავი მოიყარა თანამოძმის გარშემო, რომელსაც მანქანა დაეჯახა. ამ შემთხვევის ამსახველი თვითმხილველის მიერ გადაღებული კადრები ერთ-ერთმა ადგილობრივმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა.



კადრებში ჩანს, თუ როგორ მოიყარეს გზის სავალ ნაწილზე თავი ცხვრებმა. ისინი მანქანებს წინ გადაუდგნენ და თავიანთი დაშავებული თანამოძმე დაიცვეს, რომელიც გაუნძრევლად იწვა მათგან რამდენიმე მეტრში.

ვიდეოს ავტორმა განაცხადა, რომ გზაზე დაგდებულ ცხვარს ავტომობილი დაეჯახა. ცხოველი გადარჩა, მაგრამ ტრავმის გამო ფეხზე წამოდგომასა და გზიდან დამოუკიდებლად გადასვლას ვერ ახერხებდა.

სასიკვდილოდ დაავადებული მამაკაცი ქორწილიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა

ბრიტანეთის დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ უიგანში საავადმყოფოს თანამშრომლებმა მომაკვდავ მამაკაცს ქორწილი გადაუხადეს.

51 წლის ნიკ გლოვერი დაქორწინებას ივნისში აპირებდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო გეგმების შეცვლა მოუხდა. გასულ წელს მას კუჭქვეშა ჯირკვლის კიბო დაუდგინეს. 27 აპრილს ის საავადმყოფოში მოათავსეს, მეორე დღეს კი ექიმებმა გააფრთხილეს, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ქორწილს აღარ გადადებდა.

ცერემონია იმავე დღეს საავადმყოფოს სამლოცველოში გაიმართა. ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით ქალაქში გლოვერის და იმყოფებოდა, რომელიც ქვეყნის მეორე ბოლოში ცხოვრობს., ხოლო მისმა მეგობარმა, რომელიც ხელისმომკიდე უნდა ყოფილიყო, ბოლო მომენტში მოასწრო შოტლანდიიდან დაბრუნება. ქორწილიდან რამდენიმე საათში მამაკაცი გარდაიცვალა.

თავში დანაგაყრილმა ალიგატორმა გაქცევა შეძლო

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ შუგარ-ლენდში შენიშნეს ალიგატორი, რომელსაც თავში დანა ჰქონდა ჩარჭობილი.

ქალაქის მკვიდრი ერინ უივერი მტაცებელს ტბის ნაპირზე დილის გასეირნების დროს გადაანწყდა. ის ისე იქცეოდა, თითქოსდა თავში ჩარჭობილი დიდი სამზარეულო დანა მას არანაირად არ აწუხებდა. ქალმა თავში დანაგაყრილ რეპტილიას სურათი გადაუღო და ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა. მასზე გაკეთებული კომენტარების თანახმად, თავში დანაჩარჭობილი ალიგატორი ქალაქის სხვა მცხოვრებლებსაც შეხვედრია. ბევრი მისი ჯანმრთელობის გამო წუხდა კიდეც.



პრესაში ინფორმაციის გავრცელების შემდეგ დაჭრილი ცხოველით ტეხასის პარკებისა და ველური ბუნების დეპარტამენტი დაინტერესდა. მათ შემთხვევის ადგილზე ალიგატორებზე პროფესიონალი მონადირეები გააგზავნეს, თუმცა მისი პოვნა ვერ შეძლეს.

– ალიგატორების ჩვენი ექსპერტი ვარაუდობს, რომ რეპტილიას ან თავში ჩარჭობილი დანა მოსძვრა, ან აქაურობას გაეცალა, – განაცხადა დეპარტამენტის პრეს-მდივანმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

გოგა ბითაძე: „ნბა ჩემი ცხოვრების ნაწილია“

კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით ქართველის კალათბურთელის, გოგა ბითაძის დრაფტის ამბებს. ინდიანა პეისერსის მწვრთნელმა ნეით მაკმილანმა დრაფტის მნიშვნელობასა და, ცხადია, ბითაძეზე ვრცლად ისაუბრა.

ნეით მაკმილანი:

– ბითაძეს ბევრი სპეციალისტი დრაფტზე ტოპ-10-ში მოხვედრას უწინასწარმეტყველებდა. როდესაც მე-18 ნომრამდე არ აირჩიეს და ჩვენამდე მოვიდა, შანსი ხელიდან არ გავუშვით. შეიძლება, ამის გამო ბევრი გადაირია, რადგან უკვე გვყავს 2 ცენტრი, მაგრამ ბითაძე ხომ ნიჭიერი კალათბურთელია. სამქულიანის ტყორცნაც შეუძლია, ბურთის ტარებაც, კარგი მეპასეა. კალათს მშვენივრად იცავს, დაფარებები ეხერხება. დიდი პლუსია, რომ ორმხრივი მოთამაშეა – როგორც დაცვაშია სასარგებლო, ისე შეტევაში. რამდენიმე წელია, პროფესიონალურ ლიგებში თამაშობს. ძალიან მიხარია, რომ ჩვენამდე არავინ აიყვანა და ინდიანაში მოხვდა.

– ბითაძეს განიხილავთ, როგორც სამომავლო პროექტს თუ მის ადგილს უკვე ხედავთ ინდიანა პეისერსის შემადგენლობაში?

– მისი თამაში შესწავლილი არ გვაქვს, რადგან არ ვფიქრობდით, რომ ჩვენ დაგვრჩებოდა. დრაფტის შემდეგ მცირე განხილვა გვქონდა და შემიძლია ვთქვა, გოგა მზად არის დღესვე ითამაშოს. გვყავს 2 ცენტრი, მაილს ტერნერი და დომანტას საბონისი, რომლებმაც მომავალ სეზონშიც უნდა ითამაშონ. ბითაძემაც უნდა ითამაშოს.

– რას იტყვით ლიგაზე, სადაც ის ასპარეზობდა?

– ბითაძე ახალგაზრდაა, თუმცა თამაშობდა პროფესიონალებში. ევროლიგაში ბევრი ნიჭიერი და საინტერესო კალათბურთელია. მათ შორის ბითაძე, რომელიც სამომავლო პროექტი ნამდვილად არ არის, მას ჩვენი დახმარება უკვე შეუძლია. თუმცა, აუცილებლად შევუწყობთ ხელს, რომ კიდევ უფრო განვითარდეს.

– ვის შეადარებდით გოგა ბითაძეს?

– მისი თამაშის მხოლოდ რამდენიმე მომენტი მაქვს ნანახი. ბითაძე ლატარიის შედეგად მივიღეთ და თამაში შესწავლილი ნამდვილად არ მაქვს. თუმცა ჩვენი სკაუტებისგან მაქვს ინფორმაცია, რა შეუძლია, რას უნდა ველოდეთ. მათ მონათხრობზე დაყრდნობით ვიტყვი, რომ დომანტას საბონისის ტიპის კალათბურთელია.

– უკვე 3 ცენტრი გყავთ. სამივესთვის როგორ მოძებნით სათამაშო წუთებს?

– მოვახერხებთ! შეუძლიათ როგორც ფარზე, ასევე პერიმეტრზე თამაში, ბურთსაც კარგად სტყორცნიან. ეს ჩვენი პლუსი იქნება. ნბა-ს კალათბურთი შეიცვალა, ცენტრი მხოლოდ ფარქვეშ არ უნდა იდგეს, პერიმეტრიდანაც საშიში უნდა იყოს, პიკ ენდ როლისასაც, ბურთით გადაწყვეტილების მიღებაც უნდა შეეძლოს. ასეთია ბითაძე, რომელსაც ბევრი კარგი თვისება აქვს და მას მხოლოდ ფარის მცველად არ განვიხილავთ.

კომენტარი გააკეთა თავად ბითაძემაც:

– ნბა-ში მოხვედრა ჩემი მიზანი იყო, რაზეც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი. ძალიან გახარებული ვარ. ეს ყველაფერი ჩემი ოჯახის დამსახურებაა, მას ეკუთვნის. ოჯახის თითოეული წევრი ძალიან მეხმარება.

ინდიანა პეისერსის შესახებ ბევრი რამ ვიცი. თითქმის ყველა კალათბურთელის თამაშს ვიცნობ, მათ ფლეი ოფებში რეგულარულად ვადევნებდი თვალს. ძალიან მომწონს ვიქტორ ოლადიპო. მიხარია, რომ ინდიანაში მომიწევს თამაში. ჩვენ დიდებული გუნდი გვყავს. 100 პროცენტით დავიხარჯები, რომ გუნდს წარმატებაში დავეხმარო. მოედნის ორივე მხარეს, დაცვასა და შეტევაში ბევრს ვმუშაობ. შემიძლია გუნდისთვის ენერგიის... პოზიტიური ენერგიის მოტანა. სროლაც შემიძლია და თამაშის წაკითხვაც.

მოკლედ, ვეცდები, ყველაფერი კარგად შევასრულო, რასაც მწვრთნელი მოითხოვს. ეს არის ნბა, ჩემი ოცნება. ამიერიდან ჩემი ოცნების ნაწილი ვიქნები. ამაზე სასიხარულო რა უნდა იყოს?!

ლიდერთა ფრე და დაუნდობელი ტორპედო

საბურთალო-დინამო (ბთ) 0:0

თბილისი. მიხეილ მესხი

საბურთალო: მიგინეიშვილი, მარგველაშვილი, ლაკვეხელიანი, ჩაბრავე, რეხვიაშვილი, გონსალვესი (მალი 77), შინდაგორიძე, დიასამიძე (როლოვიჩი 81), ტერა (გორგიაშვილი 64), ალთუნაშვილი, კოხრეიძე

დინამო: ალავიძე, კობახიძე, მელიავა, გაგოშიძე, ნავალოვსკი, ტეიდი, მანჯგალაძე, მამუჩაშვილი, ჯანელიძე (თევდორაძე 34), რამოსი (ჩალაძე 90), საბანაძე

უგოლოდ დასრულდა ტურის ცენტრალური შეხვედრა, რომელშიც ერთმანეთს საბურთალო და ბათუმის დინამო დაუპირისპირდნენ.

მატჩის პირველი ნახევარი გუნდებმა ორმხრივ შეტევებში გაატარეს, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხეს. გამარჯვებული თამაშში ვერც მეორე ნახევარმა გამოავლინა და საბოლოოდ გათამაშების ლიდერებმა ქულები გაიყვეს. მოვლენათა ასეთი განვითარების საბურთალომ მეტად მოიგო, რადგან დარჩა პირველ პოზიციაზე.

ტორპედო-სიონი 7:0

წყალტუბო. 26 მაისი

1:0, 2:0 ზივზივაძე (11, 16), 3:0, 4:0 ქავთარაძე (18, 41), 5:0 გეგეჭკორი (61), 6:0 წიქარიძე (68), 7:0 ზივზივაძე (80)

ტორპედო: ქვილითაია, ტაბატაძე, ჭიჭინაძე, ხურცილავა, გეგეჭკორი, დოლიძე (შარვაშიძე 35), ქიმაძე, გიგაური, ნ.ქავთარაძე (მუკბანიანი 70), ზივზივაძე, კაპანაძე (წიქარიძე 59)

სიონი: გოშაძე, თომაშვილი (ქიქავა 46), უგრეხელიძე, ტვილდიანი (რ.ჩაჩუა 46), აფაქიძე, სუხიაშვილი, თარხნიშვილი, დ.კირკიტაძე, თარგამაძე (მანაგაძე 70), გვარაძე, ვ.ისიანი

მე-3 წრე წყალტუბოში უხვგოლიანი მატჩით გაიხსნა. ქუთაისის ტორპედო ბოლნისის სიონს დაუპირისპირდა და 7 უპასუხო გოლი გაუტანა.

კახა ჩხეტიანის გუნდმა მე-11 წუთიდან დაიწყო მეტოქის რბევა. ანგარიში ბუდუ ზივზივაძემ გახსნა. ქუთაისელთა შემტევმა მატჩში ჰეთრიკი მიითვალა და მიმდინარე სეზონში 13 ბურთით ბომბარდირთა დავაში ლიდერთა შორისაა. სიონთან შეხვედრაში დუბლი შეასრულა ნოდარ ქავთარაძემ, ხოლო თითო გატანილი გოლით თავი ლევან გეგეჭკორმა და თენგიზ წიქარიძემ გამოიჩინეს.

ლოკომოტივი – რუსთავი 1:1

თბილისი. მიხეილ მესხი 2

1:0 სიხარულიძე (2), 1:1 ციცქიშვილი (44)

ლოკომოტივი: ბულისკერია, გურეშიძე, ნ.ჭანტურია, კომახიძე, უბილავა, სამურკასოვი, გვალია (გოროზია 59), კობახიძე, ძებნიაური, ჯიქია (შეყილაძე 73), სიხარულიძე (იაკობიძე 90)

რუსთავი: მამარდაშვილი, ც.კაპანაძე, ლ.გადრანი, ჯაფარაშვილი, ფონიავა, სილაგაძე (ჩოგაძე 62), გუჯაბიძე, კიტეიშვილი, ქოჩლაძე (ბ.ქავთარაძე 73), ციცქიშვილი, იმნაძე

გაძევება: კობახიძე (71)

დაპირისპირება საკმაოდ დინამიური და სანახაობრივი გამოდგა. მასპინძლებმა ანგარიში მალევე გახსნეს. მე-2 წუთზე ლოკომოტივი ირაკლი სიხარულიძემ დააწინაურა. გაშვებულმა გოლმა სტუმრები არ დააბნია და მალევე გადავიდნენ შეტევებზე. რუსთაველებმა რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს და პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიშიც გაათანაბრეს. წონასწორობა ზაზა ციცქიშვილმა აღადგინა.

აქტიურად ჩაატარეს გუნდებმა შეხვედრის მეორე ნახევარი, თუმცა გოლის გატანამდე საქმე არ მივიდა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 20 წუთი ლოკომოტივმა თამაში 10 კაცის შემადგენლობით ჩაატარა. 71-ე წუთზე მატჩის მთავარმა არბიტრმა მოედნიდან ოთარ კობახიძე გააძევა.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	19	12	3	4	36-23	39
2.დინამო (ბთ)	19	12	2	5	31-18	38
3.ტორპედო	19	10	3	6	40-29	33
4.დინამო (ობ)	18	10	2	6	33-22	32
5.ლოკომოტივი	19	8	2	9	24-23	26
6.ჩიხურა	18	5	8	5	24-20	23
7.სიონი	19	6	4	9	23-47	22
8.დილა	18	5	4	9	19-22	19
9.რუსთავი	19	3	6	10	21-34	15
10.ვიტ ჯორჯია	18	4	2	12	11-24	14

მორაგბეთა ნაკრები მეათე ადგილს დასჯერდა

საქართველო-იტალია 17:29

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა 2019 წლის მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატი

მე-10 ადგილზე დაასრულეს. მათ მთავარი ბრძოლა ფიჯისთან, გაწითლებულ დროზე გატანილი ლელოთი მოიგეს და ზედიზედ მეხუთედ ითამაშებენ ელიტურ 12 გუნდს შორის.

ილია მაისურაძის შეგირდებს ჰქონდათ შანსი, რომ შარშანდელი შედეგი გაემეორებინათ და ზედიზედ მესამე გამარჯვებით ტურნირი მე-9 ადგილზე დაესრულებინათ, მაგრამ იტალიამ დასკვნით წუთებში მოახერხა მატჩის საკუთარ სასარგებლოდ დასრულება – 17:29.

მთლიანობაში, წლევანდელი 20-წლამდელთა ჩემპიონატი წარმატებული აღმოჩნდა, რადგან გუნდმა სძლია შოტლანდიას და ფიჯის, რითაც ნომერ პირველი ამოცანა წარმატებით გადაჭრა – ელიტაში დარჩა.

პირველი ტაიმი ორივე გუნდისთვის მძიმე გამოდგა. ეს იყო მათთვის მეხუთე მატჩი ამ ტურნირზე და დაღლილობის ფონზე მრავლად იყო შეცდომები. საწყის წუთებში მეტოქემ ჩვენი წნეხში მოქცევა შეძლო, დაახლოებით 15 წუთი ჩვენს ნახევარზე გაატარა და მოლის შემდეგ ლელოც გაიტანა.

ამის შემდეგ ინიციატივა ბორჯღალოსნების ხელში გადავიდა და მე-18 წუთზე ლელოსთან ძალიან ახლოს ვიყავით, თუმცა დაახლოებით 15-მეტრიანი მოლი წითელ ზოლში ჩაიქცა. 34-ე წუთზე რეფერმ ირაკლი სიმსივე გაასინბინა და იტალიამ ჯარიმა კარში დაარტყა, მაგრამ არაზუსტად. კაცნაკლულმა საქართველოს ნაკრებმა თავი კარგად დაიცვა, მერე შეტევაზე გადავიდა, ჯარიმა გამოიმუშავა და თედო აბჟანდაძემ გაწითლებულ დროზე სხვაობა შეამცირა – 3:7.

შესვენების შემდეგ უმცროსი ბორჯღალოსნები მოედანზე უფრო მობილიზებული გავიდნენ, თავად შეძლეს იტალიელთა წნეხში მოქცევა და ეს მალე ქულებში აისახა. მეტოქის ნახევარზე გატარებული რამდენიმე წუთის განმავლობაში, ჩვენმა შერკინებამ ჯარიმები გამოიმუშავა, თუმცა ჩვენი შეცდომის შემდეგ იტალიელებმა ბურთის ფეხით მოგერიება შეძლეს, მაგრამ ოვალი ოთარ ლაშხის ნადავლი გახდა და შეუტია, ცენტრალური ხაზის გადაკვეთის შემდეგ მორკინალებმა დაარტყეს, მცველებმა ხაზის სწრაფად აწევა სცადეს, თუმცა აბჟანდაძემ მოსხეპილი პასით თემურ ჭიჭინაძე მოძებნა, რომელმაც ბურთი სიჩქარე აკრეფილ ზურაბ ქავთარაძეს გადააწოდა, რომელიც ფრთაზე გაიქცა და შექცეული პასით ლელოში დემე თაფლაძე შეუშვა, ხოლო აბჟანდაძემ გარდასახა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

საქართველოს ხვავრიელი დასაწყისი

საქართველოს დელეგაციამ შესანიშნავად დაიწყო ევროპის მე-2 თამაშები. სულ 2 საშეჯიბრებო დღე მიიღია და უკვე 10 მედალი გვაქვს: 3 ოქრო, 3 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. ყველა ეს მედალი ძიუდოისტებისა და სამბისტების მონაგარია.

საქართველომ ხარისხობრივად უკვე გააუმჯობესა ევროპის პირველ თამაშებზე, 2015 წელს ბაქოში ნაჩვენები შედეგი. 4 წლის წინ საქართველომ ავთანდილ ჭრიკიშვილისა და ადამ ოქრუაშვილის ოქროებით დაასრულა აზერბაიჯანის დედაქალაქში ჩატარებული ტურნირი, მინსკში კი პირველივე საშეჯიბრებო დღეს 3-ჯერ აჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი!

მინსკის ჩიჟოვკა-არენაზე ძიუდოში მედლები მამაკაცთა შორის 2 წონით კატეგორიაში განაწილდა და ყველა ქართველი პოდიუმზე ავიდა. ოქრო ლუხუმ ჩხვიმიანმა (60კგ) ირგუნა, ხოლო ბრინჯაოს მედლები ერგოთ ამირან პაპინაშვილს (60), ვაჟა მარგველაშვილს (66) და ბაგრატ ნინიაშვილს (66).

პირველი ოქროს მედალი საქართველოს დელეგაციას ლუხუმ ჩხვიმიანმა მოუტანა, რომელმაც ფინალში ესპანელი ფრანსისკო გარიგოსი დაამარცხა!

მინსკი 2019-ის ოქროსთან ერთად ჩხვიმიანმა ევროპის ჩემპიონის ტიტულიც მოიგო. შეგახსენებთ, რომ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, წლევანდელი თამაშები ევროპის ჩემპიონატთანაა გათანაბრებული.

ოქროსკენ მიმავალ გზაზე ჩხვიმიანმა თურქი მიჰრაჩ აკუსი, ჰოლანდიის სახელით მოასპარეზე თორნიკე ჭკადუა და ფრანგი ვალიდე ხიარი დაამარცხა.

ბელარუსის დედაქალაქში გუნდს პირველი მედალი პაპინაშვილმა მოუტანა – მესამე ადგილისთვის შეხვედრაში მან გერმანელი მორიც პლაფკი დაამარცხა.

ასევე ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ახალგაზრდა ნინიაშვილმა 33 წლის ჩეხს პაველ პეტრიკოვს სძლია, მარგველაშვილმა კი 23 წლის მოლდოველი დენის ვიერუ დააიპონა.

უფრო ხვავრიელი სამბისტთა მონაგარია: ოქროს მედლები აიღეს ვახტანგ ჩიდრაშვილმა (57) და დავით ლორიაშვილმა (100), ვერცხლი – მინდია ლილუაშვილმა (68), ნინო ოძელაშვილმა (72) და ელენე ქებაძემ (+80), ხოლო ბრინჯაო ბექა ბერულავას (82) ერგო.

ჩიდრაშვილი რუსეთის სახელით მოასპარეზე საიან ხერტეკს დაუპირისპირდა. ქართველი თავიდანვე დაეუფლა ინიციატივას და მეტოქეს ქულაც აართვა, უპირატესობა შეინარჩუნა და ოქროს მედალს დაეუფლა!

ლორიაშვილი ფინალში ლატვიელ ვიქტორს რესკოს დაეჭიდა. ჩვენებურს პირველი ქულის მოსაპოვებლად 25 წამი დასჭირდა, ორთაბრძოლის დასრულებამდე 2 წუთით ადრე ლორიაშვილის უპირატესობა 2 ქულამდე გაიზარდა და ფინალიც ასე დასრულდა!

ლილუაშვილი ფინალში მასპინძელ ალექსანდრ კოკსასთან დამარცხდა. ფინალშივე დამარცხდნენ გოგონები: ოძელაშვილი და ქებაძემ, რომლებმაც საქართველოს 2 ვერცხლი შემატეს.

ბერულავამ კი მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში მოლდოველ სერგიუ ოსლობანუს სძლია.

ლერი ხაბელოვი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი:

– ევროპული თამაშების სტარტზე ჩვენმა სპორტსმენებმა მართლაც შთამბეჭდავი შედეგი აჩვენეს. ორივე გუნდი კარგად არის მომზადებული, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ასეთ წარმატებას ნამდვილად არ ველოდი. ერთ დღეში 10 მედლის მოპოვება სახუმარო საქმე არ არის. თანაც, წინა თამაშებთან შედარებით უკვე ერთი ოქროთი მეტი გვაქვს მოპოვებული, არადა, თამაშები ჯერ კიდევ წინა არის. მინდა წარმატება მივულოცო თითოეულ ქართველ მედალოსანს, რომლებმაც ასახელეს ჩვენი ქვეყანა. ვულოცავ ასევე მწვრთნელებს, ფედერაციების ხელმძღვანელებს, სპორტის გულშემატკივარს. დიდი იმედი მაქვს, რომ ბოლომდე ასე გავაგრძელებთ და საქართველოში ღირსეულად დავბრუნდებით.

პირველი სათამაშო დღის შემდეგ საქართველოს ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მე-3 ადგილზეა. პირველ ადგილს 18 მოპოვებული მედლით რუსეთის ფედერაცია იკავებს, მეორეზე – ბელარუსი.

ცხადია, ამ მაჩვენებლის დაცვა გაჭირდება, მით უფრო, რომ მეტოქეებს მეტი წარმომადგენელიც ჰყავთ სხვადასხვა სპორტის სახეობებში, მაგრამ ლიდერთა შორის ყოფნა მაინც სასიამოვნო ფაქტია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ბავშვი დანაზე თავით დაეცა და გადარჩა

ამერიკის კანზასის შტატში მოზარდი ცოცხალი გადარჩა, იმის მიუხედავად, რომ თავში დანით გამჭოლი ჭრილობა მიიღო.

ინციდენტი გასული კვირის ბოლოს მოხდა. ილაი გრეგი თავისი სახლის ეზოში მეგობრებთან ერთად თამაშობდა, რა დროსაც დანაზე დაეცა. მოზარდის დედის თქმით, მან ყვირილი გაიგონა და დაინახა, თუ როგორ შემოვიდა სახლში სახედასისხლიანებული მისი შვილი, თავიდან კი დანის ტარი ჰქონდა გამოჩრილი, თუმცა თავდაპირველად მას ეგონა, რომ ბავშვს თავში არმატურა ჰქონდა გაყრილი.

მოზარდი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა გაარკვიეს, რომ დანის პირმა მის თავის ქალაში ისე გაიარა, რომ საძილე არტერიას არ შეხებია. მათ გრეგი სხვა სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს. მოზარდი ცალი თვალიდან ვეღარ იყურებოდა, ექიმები კი ინსულტს არ გამორიცხავდნენ.

ქირურგებმა დანის პირის ამოღება შეძლეს ისე, რომ მოზარდის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოები არ დაზიანებულა. ამ მომენტისთვის გრეგის ჯანმრთელობის აღდგენის პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს.

– ეს სასწაულია, საკვირველებაა, – განაცხადა ბიჭის დედამ, ასეთი რამ მილიონში ერთხელ შეიძლება მოხდეს.

ვარდისფერი მტრედი, რომელმაც მამაკაცი შეაშფოთა, შეღებილი აღმოჩნდა

ინგლისის ბერკშირის საგრაფოს ქალაქ ბრაკნელში მამაკაცმა შენიშნა და ფოტოსურათი გადაუღო ვარდისფერ მტრედს. ის მას ეგზოტიკური ფრინველი ეგონა.

26 წლის ბენ ჰენკსი თავის კოლეგასთან ერთად სადილობდა, რა დროსაც უჩვეულო შეფერილობის მტრედი შენიშნა. მამაკაცმა საკუთარ თვალებს არ დაუჯერა, ვინაიდან ფრინველის ბუმბულები ვარდისფერი იყო. ამ დროს მის ახლოს სხვა მტრედები არ იმყოფებოდნენ.

– ხელი ჩემი ტელეფონისკენ წავიღე ფოტოსურათის გადასაღებად, რადგანაც, თუ მტკიცებულება არ მექნებოდა, არავინ დამიჯერებდა, – განაცხადა ბრიტანელმა.

მან იფიქრა, რომ მის წინ ვარდისფერი მტრედის სახეობის ფრინველი იყო კუნძულ მავრიკიიდან.

თუმცა ამ სახეობის წარმომადგენლები სრულიად სხვაგვარად გამოიყურებიან: მათი ფრთები მუქი ნაცრისფერი ან მუქი ყავისფერია, კუდი – წითელ-მოყავისფრო, ხოლო დანარჩენი – მკრთალი მოვარდისფრო.

ფრინველთა დაცვის სამეფო საზოგადოების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ჰენკსმა ჩვეულებრივი მტრედი გადაიღო. მისი ბუმბულები ნატურალური შეფერილობის არ ყოფილა და, სავარაუდოდ, შეღებილია. მან ადამიანებს მოუწოდა, ნუ შეღებავენ ფრინველებს, ვინაიდან ამან შეიძლება მათ ჯანმრთელობაზე იმოქმედოს, ხელი შეუშალოს ფრენაში და მტაცებლების ადვილ ლუკმად აქციოს.

მოზარდმა შვიდი წლის ბიჭი ლეოპარდს გამოსტაცა

ინდოეთის მახარაშტრას შტატის სოფელ კარპატვადიში მოზარდმა თავისი უმცროსი ბიძაშვილი ლეოპარდს კლანჭებიდან გამოსტაცა.

ბებიასთან ფერმაში სტუმრად მყოფი ბავშვები – 14 წლის ნარეშ კალურამ ბხალა და შვიდი წლის ხარშად ვიტხალ ბხალა კენკრის საკრეფად ტყეში წავიდნენ. მათ თავს ბუჩქებში ჩამალული ლეოპარდი დაესხათ. ცხოველს სურდა, მოზრდილ ბავშვს დახტომოდა, მაგრამ მან გვერდზე გახტომა მოასწრო და ამიტომ მტაცებელი უმცროსს დაესხა თავს.

ნარეშმა მიწაზე დაგდებული ჯოხი და ქვა აიღო და ლეოპარდს დაუშინა იმის იმედით, რომ ნათესავს გამოსტაცებდა. ბავშვების ყვირილი ბებიამ გაიგონა, მათთან ნამგლით მირბინა და ლეოპარდი გაგდო. ამის შემდეგ მან ბიძაშვილები საავადმყოფოში გადაიყვანა.

მეორე დღეს ლეოპარდის ნეშტი თავდასხმის ადგილიდან 300 მეტრში აღმოაჩინეს. ექსპერტებმა მტაცებელი დაათვალიერეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ის ძუ იყო, დაახლოებით 10-12 წლის. ექსპერტიზამ კი აჩვენა, რომ ის სიბერისგან დაიღუპა.

კუთხეში მიმწყვდეულმა ტუჩა დათვმა ვეფხვი შეაშინა და თავი გადაირჩინა

ინდოეთის რანტხამბორის ეროვნულ პარკში ტუჩა დათვმა ახალგაზრდა ვეფხვის შეშინება და მისგან თავის დაღწევა მოახერხა. თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვეფხვმა დათვი ხეზე მიიმწყვდია, თუმცა ხეზე აძრომის შეეშინდა. ის ქვედა ტოტზე მოკალათდა და ზევით ამძვრალ დათვს უთვალთვალებდა, როგორც ჩანს, თავდასხმისთვის უფრო ხელსაყრელ მომენტს ელოდა.

ტუჩა დათვი შეშფოთებული ადგილზე წრიალებდა, რათა უფრო საიმედო პოზიცია შეერჩია, შემდეგ კი უცბად 180 გრადუსით შეტრიალდა და დაიღრიალა. მოულოდნელობისგან ახალგაზრდა ვეფხვი ხიდან ჩამოვარდა და გაიქცა.

მამაკაცმა მილიონი დოლარი საკუთარ დაბადების დღეზე მოიგო

ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატის მცხოვრებმა ლატარიაში ჯეკპოტი საკუთარ დაბადების დღეს მოხსნა.

დენის რესლერმა საკუთარი იუბილეს აღსანიშნავად ერთ-ერთ ადგილობრივ მაღაზიაში ლატარიის ბილეთი შეიძინა. მისდა გასაკვირად, მისმა მოგებამ მილიონი დოლარი შეადგინა.

მამაკაცი მომხდარს დაუჯერებლად მიიჩნევს.

– ამას ჩემი ცხოვრების შეცვლა შეუძლია, – ამბობს ლატარიის გამარჯვებული. ის რამდენიმე წელიწადში პენსიაზე გასვლას აპირებს, თუმცა გათამაშებში მონაწილეობას გააგრძელებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თხამ ორი ბრაკონიერი იმსხვერპლა

ზიმბაბვეში ორი ბრაკონიერი იმ დროს დაიღუპა, როდესაც რეინჯერებისგან დევნისგან თავის დაღწევას ცდილობდნენ, – იუწყება ერთ-ერთი ადგილობრივი რადიოსადგური. მათი ავტომობილი თხას დაეჯახა.

ინციდენტი მდინარე ბუბის მახლობლად, ნაკრძალ დაბლობში მოხდა, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საზღვართან მდებარეობს. რეინჯერებმა ოთხ ბრაკონიერს მიაგნეს, რომლებიც, სავარაუდოდ, მარტორქებზე ნადირობდნენ, ხოლო მათი გაქცევის შემდეგ გაეკიდნენ. დევნა იმით დასრულდა, რომ ბრაკონიერების მანქანა თხას დაეჯახა, ამის შედეგად მძღოლმა მართვა დაკარგა, გზიდან გადავიდა და გადაბრუნდა.

ორი ბრაკონიერი მიღებული ტრავმების შედეგად ადგილზე დაიღუპა, მათი ორი თანამზრახველი კი გადარჩა. მათ იშვიათ ცხოველებზე ნადირობის ბრალდება წაუყენეს და დაატიმრეს. ისინი სასამართლოს წინაშე 28 ივნისს წარდგებიან.

ბრალმდებელმა განაცხადა, რომ მათი ავტომობილის ნაკვალევი იმაზე მიუთითებს, რომ ისინი მარტორქს მისდევდნენ, სანამ ისინი რეინჯერებმა არ შენიშნეს. ისინი შეეცადნენ, სოფელ ჟოპემბამდე მიეღწიათ და შემდეგ იქ დამალულიყვნენ. ავარიის ადგილზე გამომძიებლებმა ოპტიკურსამიზნიანი შაშხანა აღმოაჩინეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

მორაგბეთა ნაკრები მეათე ადგილს დასჯერდა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

წნეხი კიდე უფრო გაძლიერდა, აბჟანდაძის ფეხით თამაშის შემდეგ, ლაშხმა მეტოქე შებოჭა და აუტისკენ წაიყვანა, მისი შემოგდებული ბურთი კი მიხეილ ალანიამ ჩაჭრა და ლელო აბჟანდაძემ გარდასახა – 17:7.

სამწუხაროდ, ამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოხერხდა. იტალიამ შეძლო ტემპის მომატება, 2 ლელოს გატანა და 66-ე წუთზე უპირატესობა დაიბრუნა. მალე მეტოქემ ჯარიმაც გაიტანა და ერთი გარდასახული ლელოთი დაწინაურდა, სულ ბოლოს კი მეოთხე ლელო მივიღეთ – 17:29.

2019 წლის მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის გამარჯვებული, ზედიზედ მეორედ გახდა საფრანგეთის ნაკრები, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში ავსტრალიას მინიმალური სხვაობით, 24:23 სძლია.

მე-3 ადგილისთვის სამხრეთ აფრიკამ არგენტინა 41:16 დაამარცხა. მე-5 ადგილისთვის ბრიტანული დერბი შედგა და ინგლისმა უელსს 45:26 მოუგო. ამ მატჩში რეფერი ქართველი ნიკა ამაშუკელი იყო. მე-7 ადგილი ახალ ზელანდიას ერგო, რომელმაც ირლანდიას 40:17 სძლია. გასავარდნ შეხვედრაში ფიჯი შოტლანდიას ეთამაშებოდა, 9 ლელო გაუტანა, თავად 5 გაუშვა და მეტოქე 59:34 დაამარცხა. შედეგად, 20-წლამდელთა ჩემპიონატს შოტლანდია პირველად ემშვიდობება. ის გახდა მეორე გუნდი ტიერ1-ის ქვეყნებიდან (იტალიის შემდეგ), რომელიც 20-წლამდელთა ჩემპიონატს ემშვიდობება. თავის მხრივ, ფიჯი საქართველოს შემდეგ მეორე ნაკრებია, რომელმაც „ალაფიდან“ დაწინაურების შემდეგ, ელიტაში ადგილი შეინარჩუნა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

24 ივნისისთვის

ვერძი – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

სიტყვოჩდი



1. ხევისბერი გოჩას ვაჟი; 2. ტიბეტური ხარი; 3. ქვეყნის მხარეთა მაჩვენებელი ხელსაწყო; 4. ... ემე; 5. ნოტიო, ჩახურებული ფქვილი; 6. მაუგლის მეგობარი გველი; 7. ორსახოვანი ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 8. ბრინჯის არაყი; 9. ვენესუელის დედაქალაქი; 10. დგამი; 11. ჯარის უკანა დამცავი ნაწილი ფრონტიდან ზურგისკენ სვლის დროს; 12. ბილიარდის ჯოხი; 13. შინაური ცხოველი; 14. თეთრი, რბილი კირქვა; 15. ცვედნობა; 16. ქალაქი ინდოეთში; 17. რისამე შემადგენელი ნაწილი; 18. ადამიანის მსგავსი ცხოველი; 19. ხელოვნების მუზეუმი სანკტ-პეტერბურგში; 20. სტადიონი ბრაზილიაში; 21. მწვერვალი არგენტინაში; 22. მღვდლის სამოსელი; 23. ... -აბება; 24. ძნელადდნობადი ლითონი; 25. პურის, მჭადის მცირე ნაწილაკი; 26. მდინარე ევროპაში; 27. დიდი, ღონიერი ჯიშის ძაღლი; 28. ყვავილი; 29. შლამის თევზი; 30. ხორციანი კორკოტი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჩდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მიკადო; 2. ალუპკა; 3. ენისელი; 4. კარდიფი; 5. გოტარდი; 7. ტერტერა; 11. ისტრი; 12. ფიორდი; 13. ძილქუში; 14. ცანგალა; 15. დავითი; 17. ფესახი; 19. ტოტო.

თარაზულად: 5. გავიალი; 6. თურნავა; 8. კარე; 9. ჰერში; 10. რონოდა; 11. იედო; 13. ძაბუტონი; 14. ციტრა; 16. სფერო; 18. სექტა; 20. ლენტეხი; 21. თარხანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მენჯი; 2. ტრალი; 3. შარბათი; 4. იგლუ; 5. წეკო; 6. კასაცია; 9. ჰემოთერაპია; 10. ბაღდავაძე; 11. ტერეშკოვა; 14. ჰობოი; 16. აკინი; 18. ბროკერი; 20. შავლეგო; 23. აურა; 24. დუბაი; 25. პაპყი; 26. კურუ.

თარაზულად: 7. განდაგანა; 8. ბატერფლაი; 12. კაკაო; 13. ბენცი; 15. ფხოვი; 17. ბანდეროლი; 19. შტაბი; 21. თოიძე; 22. სვავი; 27. გრავირება; 28. სპორტინგი.

ნანკა კალატოზიშვილი: „გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, გვიყვარს ერთმანეთი, ამის გამო ინადირეს ჩვენზე!“

ეს განცხადება მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობმა ნანკა კალატოზიშვილმა რუსთაველის გამზირზე მიმდინარე მიტინგის დროს გააკეთა:

– 3 დღეა, ვერ ამოვდივარ ამ სცენაზე, იმიტომ რომ, მგონია, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, დადგე აქ და ელაპარაკო ადამიანებს. პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, მე ამ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, ყველანი ამას ვგრძნობთ, იმიტომ, რომ ერთმანეთს ვუფრთხილდებით, ვუვლით და ძალიან მინდა, რომ პოლიტიკოსებიც ასეთები იყვნენ.

წარმოუდგენელია, ძალიან მიკვირს იმ ადამიანების, რომლებსაც უკვირთ, რომ ჩვენ აქ ვართ. რანაირად ვიცხოვრეთ ზოგადად ეს პერიოდი, რომ ამდენი გაგვიბედეს. ეს ხომ ერთ დღეში არ მოხდა, ეს დაგროვდა – რაღაცები გავატარეთ, გავატარეთ, გავატარეთ და უცებ ერთ მშვენიერ დღეს გავიღვიძეთ და დავინახეთ ეს საშინელი ადამიანი ჩვენივე პარლამენტში. გვაგრძნობინეს თავი რუსულ გუბერნიად. მსგავსი პირადი შეურაცხყოფა, არ ვიცი, როგორ უნდა მოგაყენონ.

3 დღეა, ძალიან უცნაურად იქცევიან ჩვენი პოლიტიკოსები, პირადად არც მიკვირს ამ ქმედების მერე. მგონია, რომ დროს წელავენ. ეს პრინციპის ამბავია, აქ უნდა ვიდგეთ ბოლომდე, იმიტომ რომ, სავარაუდოდ, ამაში გვეჯიბრებიან. ჩვენ ძალიან ბევრნი ვართ და კიდევ უფრო ბევრი მოვა.

მათი ერთადერთი არგუმენტი არის სხვა მთავრობის ცუდი ქმედებები, რომელიც, ვიცით, გვახსოვს, არაფერი დაგვივიწყებია, შეხსენება ნამდვილად არ გვჭირდება, მაგრამ სხვების შეცდომები მათ არ ამართლებს. არანაირი უფლება არ აქვს მთავრობას, ის, რაც სხვამ დააშავა, იგივე გააკეთოს.

ჩვენ ანტიოკუპაციური დამოკიდებულებით მოსული ადამიანები, რომლებსაც გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, გვიყვარს ერთმანეთი, ამის გამო ინადირეს ჩვენზე, ამას სხვა რა უნდა დაარქვა. ეს არის ნადირობა და გარდა იმისა, რომ საკუთარი პროტესტი მაქვს, რის გამოც აქ მოვედი, ჩვენ შეგვარცხვინეს მსოფლიო მასშტაბით და მათი მოჯმულის მოსაწმენდად ვართ აქ მოსული. უკაცრავად, ვეცადე, კორექტული ყოფილიყავი.

3 დღეა ველოდებით პასუხს, ბატონო გახარია, მსახიობი ვარ, მაგრა ვეცადე, ვცდილობ, გაგამართლოთ, მაგრამ გამართლება ვერ გიპოვეთ, ბოდიში ვერ გიშველით, უნდა გადადგეთ, სხვა გზა არ არის. ჩვენ ძალა გვეყოფა და აქ ვიდგებით ბოლომდე.

ძალიან ბევრი იძახის, რომ ეს ადამიანები არ შეიკრიბებოდნენ აქ თუნდაც პროპორციული არჩევნების მოსათხოვად. პროპორციული არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი ხმები უნდა დაფიქსირდეს, ჩვენი ხმები არ უნდა მოიპარონ, ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა სწორედ ეს არის.

ის ადამიანები, რომლებიც ვიცავდით ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სუვერენიტეტს, ჩვენს ღირსებას, ისინი დაპატიმრებულები არიან და გამოუშვით!

ბერა, შენ თუ რამის თავი გაქვს, უბრალოდ პოსტები არ გიშველის, მოდი აქ და გააკეთე შენი საქმე!

ნინო სურგულაძე: „მკვლელ რუსეთს არ მივცეთ საბაბი, კიდევ ერთხელ წამოგვაგოს პროვოკაციაზე“

ოპერის მომღერალი ნინო სურგულაძე გულმხურვალე ახალგაზრდების ერთსულოვნებით აღფრთოვანებულია და მათ სიფრთხილის გამოჩენას ურჩევს:

– ჩემო ძვირფასო ახალგაზრდებო და არა მარტო....

ვუყურებ ჩემს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და მიმძიმს შორიდან ამ ყველაფრის ყურება, რადგან ამ პროცესების ინსპირატორი კვლავ ჩვენი მტერი რუსეთის ფედერაციაა, რომელმაც, არაერთგზის მცდელობისა, მაინც ვერ დაგვაჩოქა.

ვუყურებ ჩვენს გულმხურვალე ახალგაზრდებს და ამაყი ვარ, რადგან მათი ხმა ნამდვილად ისმის მსოფლიოში. ამაყი ვარ, რადგან ჩვენ ბევრჯერ ვუთხარით არა მკვლელ რუსეთსა და პირადად პუტინს.

ამაყი ვარ და გულანთებული, როცა რამდენიმე საათში მიწევს უდიდეს წარმომადგენლობით ღონისძიებაზე გასვლა და სიმღერა, სადაც მე აუცილებლად სიამაყით ვიტყვი, რომ ქართველი ვარ.

არასოდეს არ ვაძლევ საკუთარ თავს უფლებას, გავაკეთო პოლიტიკური შეფასებები, მაგრამ ამ ერთხელ მომიტევოს ყველამ – ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა მკვლელ რუსეთს არ მივცეთ საბაბი, კიდევ ერთხელ წამოგვაგოს პროვოკაციაზე.

ჩვენ გავიმარჯვებთ, მე ამის მჯერა და სულ გამარჯვებულები ვივლით წინ საქართველოს საკეთილდღეოდ. სიყვარულით, თქვენი ნინო!

ანიტა რაჭველიშვილი: „წელს ყველა საქართველოში ვატარებთ არდადეგებს!“

ოპერის მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი გამოდის ინიციატივით, რომ წელს ყველამ საქართველოში გავატაროთ ზაფხული და ამით ქართულ ეკონომიკას დავეხმაროთ:

– წელს ყველა საქართველოში ვატარებთ არდადეგებს! მე, პირადად, სვანეთი არ მინახავს და იქ ვაპირებ ასვლას!

შევუწყოთ ტურიზმს ხელი! არ გვჭირდებიან ჩვენ რუსი ტურისტები!

ვისაც პუტინის მარაზმი არ აღელვებს, ის ისედაც ჩამოვა!

დავისვენოთ ჩვენს სამშობლოში!

ვიქტორ შენდეროვიჩი პუტინის ჯინაზე საქართველოში ჩამოსვლას აპირებს

რუსი მწერალი ვიქტორ შენდეროვიჩი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ჯინაზე საქართველოში ჩამოსვლასა და ქართველებისთვის სიყვარულის ახსნას აპირებს.

ამის შესახებ განცხადება მან ინტერნეტში გაავრცელა და მოუწოდა თავის თანამემამულეებს, აუცილებლად ჩამოვიდნენ ამ არაჩვეულებრივ ქვეყანაში, სადაც ზღაპრული ადგილებია.

მწერლის ამ ინიციატივას ინტერნეტში ათასობით მოწონება და ასობით გაზიარება მოჰყვა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ვიქტორ შენდეროვიჩი ქართველებს სოლიდარობას უცხადებს. მან რუსეთის ხელისუფლების გამო ქართველებს ბოდიშიც კი მოუხადა.

დათო ტურაშვილი გადაცემის წაყვანის დროს ცუდად გახდა

მწერალი დათო ტურაშვილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე შაბათის შუადღის წაყვანის დროს ცუდად გახდა.

ამის მიზეზი მისი ემოციური განცხადება გახდა, რომელიც მან 20 ივნისის ღამეს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გააკეთა:

– ვინც დაპატიმრებული არიან, ისინი არიან პოლიტპატიმრები. რამდენიმე ასეული პოლიტპატიმარი გვყავს საქართველოში. ადამიანი, რომელიც აპროტესტებს ოკუპაციას და მას აპატიმრებს ხელისუფლება, ის არის პოლიტპატიმარი, აზრის გამოხატვისთვის არის დაკავებული. რაც საკუთარი თვალით ვნახეთ, იმას ვამბობთ. ჩვენ არ ვართ მოძალადეების მხარეს, პირიქით, ვინც მოძალადე გახდება, მან პასუხი უნდა აგოს. დიდი ნაწილი ვინც დაპატიმრებულია, სრულიად მშვიდობიანი ადამიანები არიან.

სამწუხაროდ, 9 აპრილი მახსენდებოდა, იგივე მარშრუტი გამოვიარეთ, მასე გამოვიქეცით და ბოლოს უნივერსიტეტთან გავმაგრდით.

გულწრფელად ვამბობ, ასეთი რამე არ მინახავს, ორი ომი გადაიტანა XX საუკუნეში მსოფლიომ, მილიონობით ადამიანი შეეწირა ამ ომებს და არსად არ არის დაფიქსირებული, რომ ხელებაწეულ ადამიანს სახეში ესვრიან ტყვიას.

შენი დედას შე....ი, ვინც ამას გიბრძანებს, რომ ხელებაწეულ ადამიანს თავში ტყვია ესროლო და 15 წლის ბავშვი დააბრმავო! ასეთი რამე არ არსებობს, ეს წარმოუდგენელია და გადადგომა არ უნდათ! ძალაუფლების შენარჩუნება უნდათ, რომ მოასწრონ და მეტი ფული გააკეთონ! რისთვის? ნაძირალა გავრილოვის გულისთვის ჩვენს შვილებს ტყვიები უნდა ესროლონ?

ნინო კასრაძე რობერტ სტურუას წინააღმდეგ

რუსთაველის თეატრის მსახიობი ნინო კასრაძე რეჟისორ რობერტ სტურუას დაუპირისპირდა.

ამის მიზეზი რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის რობერტ სტურუას განცხადება გახდა:

– ბოროტმა სულმა იმარჯვა... ნაცისტები ზეიმობენ: საქართველო აღარ არის!

რეჟისორის ამ განცხადებამ არა მარტო ნინო კასრაძე, არამედ საზოგადოების უდიდესი ნაწილი გააღიზიანა. სტურუას წითელი ინტელიგენტი და ბებერი მძორი უწოდეს და რუსეთში წასვლა ურჩიეს.

ნინო კასრაძე რეჟისორს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა, მას არ დაეთანხმა და განუცხადა, რომ საქართველო იყო, არის და იქნება:



– ვინც მიცნობს, კარგად იცის, რომ არც სოციალურ ქსელში ვარ და არასოდეს არც ერთ თემაზე საჯაროდ კომენტარს არ ვაკეთებ....

მაგრამ დღეს, ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების კონტექსტში არაფრით არ შემიძლია გავჩერდე და ჩემი აზრი არ გამოვთქვა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, რობერტ სტურუას ფეისბუქ პოსტთან დაკავშირებით...

მესმის, რომ ყველას თავისი აზრი გააჩნია, მესმის, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება უზენაესია, ჰოდა, ვსარგებლობ ამ უზენაესი უფლებით...

ბატონო რობერტ, გუშინ და გუშინწინ რუსთაველზე ახალგაზრდები იდგნენ, სტუდენტები, თინეიჯერები, ჩემი სალომეს და თქვენი ელენეს თანატოლები. ზუსტად ისინი, ვინც ხვალ ის ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება უნდა დააკომპლექტოს, რომელზეც ყველა ვოცნებობთ. მეც ჩემს შვილებთან ვიდექი, აბა, მარტო ხომ არ დავტოვებდი, ანდა ხომ არ ვაიძულებდი სახლში დარჩენას?! ანდა რა უნდა მეთქვა, პროტესტი რატომ გაგიჩნდათ, მოგეჩვენათ ეს ყველაფერი-თქო?!

მე იქ ბოროტი სული არ მინახავს, არც ნაცისტების ზეიმი მინახავს, ზეიმი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო აღარ არის...

პირიქით, ახალი საქართველო ახლა იბადება – უკომპრომისო, პატრიოტი და, სამწუხაროდ, ზოგი ცალთვალა...

ოცდახუთწლიანი ურთიერთობის განმავლობაში, სიყვარულითა და აღტაცებით სავსე ურთიერთობის მანძილზე, პირველად გამიჩნდა გადაულახავი სურვილი, გამოვთქვა პროტესტი, პროტესტი თქვენი პოზიციის მიმართ, რომ თითქოს „საქართველო აღარ არის!“

საქართველო იყო, არის და იქნება!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

ლიანდაგებზე დაცემული მოხუცი მოტოციკლისტი მატარებელს სასწაულებრივად გადაურჩა

ჩეხეთში ხანდაზმული მამაკაცი მოტოციკლიდან ლიანდაგებზე მოახლოებული მატარებლის წინ გადმოვარდა, მაგრამ მისი გადარჩენა მოასწრეს.

აღნიშნული ინციდენტი კრალოვეგრადეცკის მხარის ქალაქ კოსტელეც-ნად-ორლიციში ჯერ კიდევ 21 აპრილს მოხდა, თუმცა მისი ამსახველი ვიდეოჩანაწერი მხოლოდ ახლახან გახდა ხელმისაწვდომი. კადრებში ჩანს, თუ როგორ ცდილობს 85 წლის ირჟი დუსი მოტოციკლით რკინიგზის ხაზზე გადასვლას იმ დროს, როდესაც გამაფრთხილებელი სინათლეები უკვე ჩართულია. მამაკაცმა ვერ შენიშნა, რომ გზა უკვე ჩაკეტილი იყო, დაშვებულ ბარიერს დაეჯახა და ლიანდაგებზე გადავარდა.

ეს შენიშნა 32 წლის დალიბორ ვობორნიკმა და პენსიონერთან დასახმარებლად მიიჭრა. რამდენიმე წამში მან მამაკაცი და მისი მოტოციკლი ლიანდაგებს მოაშორა. კიდევ რამდენიმე წამში მატარებელი იმ ადგილზე შეჩერდა, სადაც მანამდე პენსიონერი ეგდო.

ასფალტზე მწოლიარე მოხუცებულს გამვლელებიც მისცვივდნენ, წამოდგომაში და მოტოციკლის გზაზე გაყვანაში მიეხმარნენ.

პოლიციელთა თქმით, ვობორნიკს დუსისთვის რომ არ ეშველა, მატარებელი შეჩერებას ვერ მოასწრებდა და მამაკაცს გასრესდა.

კიმ კარდაშიანმა ბებიას ვენები შეუღება

რეალიტი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილე კიმ კარდაშიანმა სოციალურ ქსელებში საკუთარი ბრენდის ახალი კოსმეტიკური საშუალების ეფექტურობა თავისი ბებიის დახმარებით წარმოადგინა და ფანები გააოცა. ამ ყოველივეს ამსახველი კადრები ინსტაგრამში ტელევარსკვლავის გვერდზე გამოქვეყნდა.

ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ უსვამს თავის ბებიას დედის მხრიდან მერი ჯო კემპბელს ტონალურ საცხს, რათა მის გამოკვეთილი ვენები დაფაროს. როდესაც ის კოსმეტიკურ საშუალებას უსვამს, ვენები, ფაქტობრივად, ქრება.

– ბებიაჩემმა მერი ჯომ ჩემი კოსმეტიკის შესახებ მკითხა და მთხოვა, ხელებზე ვენების დაფარვაში დავხმარებოდი. მე და ნორტი მასთან სახლში მივედით და ვაჩვენეთ, თუ მისით როგორ უნდა ესარგებლა. ბედნიერი ვარ, რომ შედეგით კმაყოფილი დარჩა, – დაწერა ვიდეოს კომენტარში კიმ კარდაშიანმა.

აღნიშნულმა ვიდეომ მისი ხელმომწერები აღაფრთოვანა და ბევრმა მათგანმა ტელევარსკვლავისთვის ქების სიტყვებიც არ დაიშურა.

კარდაშიან-უესტის აღნიშნულმა ვიდეორგოლმა ორ მილიონამდე მოწონება მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

24 ივნისისთვის

აშშ დოლარი — 2.7798

ევრო — 3.1442

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5220

100 რუსული რუბლი — 4.4129

ამინდის პროგნოზი 24 ივნისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

25 ივნისიდან

ჟიულ ვერნი

20 000 ლიე წყალქვეშ

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

18 ივნისიდან

ანე ფრანკი

თავშესაფარი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ანეკდოტი

ერთი მეზობელი მეორე მეზობელს ეკითხება:

– შენ მკერავი ხარ?

– კი, რაიმეს შეკერვა გინდა?

– მე კი არა, შენ კატას ამოუკერე უკანალი, სულ ჩემი კარის წინ რომ ისაქმებს.

•••

ტელეფონის ზარია:

– ალო, პოლიციაა?

– დიახ. რით შეგვიძლია, დაგეხმაროთ?

– გევედრებით, გთხოვთ, დამეხმარეთ... თუ შეიძლება... ჩემი სიდედრი დაიკარგა...

– თქვენი მესმის. შეეცადეთ, რაც შეიძლება დიდხანს არ დაკიდოთ ყურმილი და მიპასუხეთ მხოლოდ „დიახ“ ან „არა“. გასაგებია?

– დიახ!

– იარაღით გემუქრებიან?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ვისთან უფრო იაფია საქონელი, მწარმოებელთან თუ დილერთან?

– ყარაულთან!

•••

მეზობელი ბავშვს ეკითხება:

– გიგი, ვინაა ის დეიდა, საღამოობით ასე ხშირად რომ მოდის თქვენთან ბინაში?

– არის რა ერთი, ჩემთან დადის... ფულის გამო...

– რა, მეძავია?

– არა, რეპეტიტორი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კეიტ მიდლტონი, სავარაუდოდ, ისევ ფეხმძიმედ არის

დიდი ბრიტანეთის პრინც უილიამის მეუღლე კეიტ მიდლტონი, შესაძლოა, მეოთხედ იყოს ფეხმძიმედ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

გამოცემის ჟურნალისტებმა და კემბრიჯის ჰერცოგინიას თაყვანისმცემლებმა ასკოტში გამართული სამეფო დღის დროს მის უცნაურ ქცევას მიაქციეს ყურადღება. კეიტ მიდლტონს გამუდმებით ხელები მუცელზე ეწყო და ასევე თითქოსდა მის ხელჩანთით დაფარვას ცდილობდა.

– ნუთუ კეიტი ფეხმძიმედ არის? იმედი მაქვს, ასეა, ხელები მუცელზე უდევს! – ივარაუდა ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

სხეულის ექსპერტმა, რომელიც გამოცემამ გამოჰკითხა, ვარაუდი გამოთქვა, რომ, შესაძლოა, კემბრიჯის ჰერცოგინია საუბრის დროს პრინცესა ევგენიას ჟესტებს ბაძავდეს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორედ პრინცესაა ფეხმძიმედ.

სპილომ მამაკაცი ეშვზე წამოაგო

ტაილანდის ერთ-ერთ ეროვნულ პარკში გარეული სპილოები მძინარე წყვილს თავს დაესხნენ.

ადგილობრივი პოლიციის მონაცემებით, ცხოველები საკვებს ეძებდნენ და წააწყდნენ კარავს, რომელშიც ოჯახური წყვილი ისვენებდა. ქალმა იქვე მდგარი სატვირთო მანქანის ქვეშ დამალვა მოახერხა, მამაკაცმა კი გაქცევა ცადა, მაგრამ ვერ შეძლო. სამიდან ერთ-ერთმა სპილომ ის ეშვზე წამოაგო, რის შედეგადაც მამაკაცი ადგილზევე დაიღუპა.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ტაილანდში ტყეების გაჩეხამ გარეული ცხოველების ბუნებრივი საცხოვრებელი არეალის შემცირება გამოიწვია. ამის გამო სპილოები საკვების ძებნაში სულ უფრო ხშირად აწყდებიან ადამიანებს, რასაც სხვადასხვა ინციდენტი მოსდევს.

ოქროს თევზმა კანალიზაციაში გაცურა და მდინარეში აღმოჩნდა

ამერიკის ქალაქ ნიუ იორკში არაკომერციული ორგანიზაციის თანამშრომლებმა მდინარე ნიაგარაში ჩამდინარე წყლების გამწმენდი სადგურის მახლობლად დიდი ოქროს თევზი აღმოაჩინეს.

ფეისბუქში ბუფალო ნიაგარის გვერდზე გამოქვეყნდა ტექსტი, რომელშიც ორგანიზაციის წევრებმა თხოვნით მიმართეს მოქალაქეებს, მათთვის არასაჭირო ოქროს თევზებს უნიტაზში ნუ ჩარეცხავენ და ისინი, უბრალოდ, ზოომაღაზიებს დაუბრუნონ. მათი თქმით, მათ მდინარის წყლებში, შესაძლოა, ერთი წელი იცხოვრონ და, ამასთან, ადგილობრივი სახეობების საარსებო გარემო გაანადგურონ.

ორგანიზაციის თანამშრომლებმა სტატიას თან დაურთეს 35-სანტიმეტრიანი ოქროს თევზის ფოტოსურათი, რომელიც მათ მდინარეში დაიჭირეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დამნაშავე მოშინაურებულ „მოდარაჯე“ ციყვს ნარკოტიკებს აძლევდა

ამერიკის ალაბამის შტატის ლაიმსთოუნის ოლქში პოლიციელებმა დამნაშავის ბინაში საგანგებოდ გაწვრთნილი „მოდარაჯე ციყვი“ აღმოაჩინეს.

პოლიციელებმა 35 წლის მიკი პოლკს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ ფლობის, აკრძალული ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვისა და მათი დასამზადებელი საშუალებების გამოყენებისთვის დასაპატიმრებლად მიაკითხეს. მამაკაცი სახლში არ აღმოჩნდა და სამართალდამცავებმა მისი მეზობელი, 37 წლის რონი რეინოლდსი დააპატიმრეს.

ჩხრეკის დროს პოლიციელების ყურადღება გალიაში მოთავსებულმა აგრესიულმა ციყვმა მიიპყრო. პოლიციის მონაცემებით, პოლკი მას მოდარაჯე ცხოველის სახით იყენებდა და, სავარაუდოდ, მას მეტამფეტამინს აძლევდა, რათა ის აგრესიულად მოქცეულიყო. ოლქის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელმა სტივენ იანგმა აღიარა, რომ გალიასთან, რომელშიც ციყვი იყო მოთავსებული მიახლოება არავის სურდა.

– სამართალდამცავ ორგანოებში 18 წლის მუშაობის განმავლობაში ასეთ რამეს პირველად გადავაწყდი, – განაცხადა პოლიციელმა.

ციყვის შემდგომი ბედი უცნობია, პოლკზე ძებნაა გამოცხადებული. ჯერჯერობით უცნობია, სხვა ბრალდებებთან ერთად, მას ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობის ბრალდებასაც წაუყენებენ თუ არა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 6. გულისცემის შენელება; 7. ოთხტაეპიანი ლექსი სპარსულ პოეზიაში; 8. „... ველის სერენადა“; 11. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პრუსიელი მოღვაწე, ბარონი (XVIIIს.); 12. კატის ნაშიერი; 13. წვრილმესაკუთრული ინტერესების მქონე ადამიანი; 17. პატარა სიმაღლის განიერი ჩანჩქერი; 18. რიტორიკული ხერხი – სიტყვის ან ფრაზის გამეორება; 22. შემოსავალ-გასავლის შეფარდებითი ჯამი; 23. ზღვის პატარა თევზი; 24. ნატვრითი კილო (გრამატ.); 25. ქიმიურად გრანიტის მსგავსი ვულკანური ქანი.

შვეულად: 1. ჭაობის მწერიჭამია მცენარე; 2. ხელოვნური ბოჭკო; 3. დედამიწის ქერქი; 4. უკაცრავად! (ფრანგულად); 5. ხალხი (ბერძნულად); 9. უსქესო გამრავლებით მიღებული შთამომავალი; 10. მუცელი (ძვ.); 14. სახელმწიფო ევროპაში; 15. იაპონური წარმოების ხელოვნური ბოჭკო; 16. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 19. საიდუმლო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; 20. ერთგვარი სპორტული მარხილი; 21. მტაცებელი ფრინველი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

ჩან ჩან ვან + მა ინ ტონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ჯიან პი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ბეი ფუ დი ჰუანბ ვან + სუნ საო

აუმჯობესებს პოტენციას

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/